ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, პადალინო, რეპკა, ტორრიჩელი, კოისი, რუი კოშტა, ამოროზო, ჰაინრიხი, ბატისტუტა, ედმუნდო

გაფრთხილება: ბაჯო, პადალინო, კრესპო, სენსინი

მსაჯი: მესინა

იტალიური ლიგის ორმა ყველაზე ძლიერმა არგენტინელმა თავდამსხმელმა, გაბრიელ ბატისტუტამ და ერნან კრესპომ, ქვეყნის თასის ფინალის პირველ შეხვედრაში ერთმანეთის გუნდს თითო გოლი გაუტანეს.

კრესპომ თავიდან „პარმა“ დააწინაურა, მეორე ტაიმში კი ბატისტუტამ გაათანაბრა ანგარიში.

სერია A-ს ბომბარდირთა სიაშიც ეს ორი ფეხბურთელია თვალსაჩინო ადგილას. ბატისტუტას ამ სეზონში 19 გოლი აქვს გატანილი, ხოლო კრესპოს (რომაელ დელვეკიოს მსგავსად) 16.

„პარმასა“ ად „ფიორენტინას“ შეხვედრაში კრესპომ უმარტივესი გოლი შეაგდო: ხორვატმა მარიო სტანიჩმა შეტევის მარჯვენა ფრთიდან ბურთი სტუმართა მეკარის ბაქანზე შეაგდო, სადაც ჩეხ მცველს, ტომაშ რეპკას იგი ფეხებს შორის გაუძვრა. კრესპოს სიმკვირცხლეღა უნდა გემოეჩინა და გამოიჩინა კიდეც.

გოლიდან შვიდ წუთში „ფიორენტინას“ ნახევარმცველს, სანდრო კოისს შეეძლო გათანაბრება, მაგრამ მეტოქე მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის ოსტატობას წააწყდა. ერთი ხნის შემდეგ სტუმართა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, ედმუნდომ, სულაც გადააკვეთინა ბურთს „პარმას“ კარის ხაზი, ოლონდ თანამსაჯის დროშამ ოფსაიდი ბრძანა.

ნახევარდაცვაში, მუხლნატკენი ალან ბოგოსიანის არყოლის მიუხედავად პარმელები უფრო დალაგებულნი იყვნენ, ხოლო ბატისტუტასა და ედმუნდოს პატრონი „ფიორენტინა“ შეტევაში გახლდათ მძაფრი.

შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ედმუნდომ მარჯვენა მხრიდან შეუტია, შემხვედრ არგენტინელ მცველს, ნესტორ სენსონის გვერდი უქცია და საჯარიმოში პასი გადააწოდა. აქ მას ბატისტუტა გამოეხმაურა, ლილიან ტურამსა და ბუფონს აჯობა და ანგარიში გაქვითა.

„ფიორენტინა“ იტალიური თასის მეექვსედ მოპოვებას, ახლა, საპასუხო შეხვედრაში, შინ, 5 მაისს შეეცდება.

რეკლამა სარგბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

თურქეთი

თასის ფინალი. პირველი მატჩი

გალათასარაი 0:0 გეშიძთაში

საპასუხო მატჩი 5 მაისს გაიმართება

სარგბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20

ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი

აიაქსი 2:1 ფეიენოორდი

1:0 ვამბერტო (45), 1:1 ვან გასტელი (55), 2:1 მელხიოტი (71)

თავიდანვე ვიტყვით, შედეგი სრულიად ლოგიკურია, რადგან ამსტერდამელები აშკარად სჯობდნენ მეტოქეს.

შოთა არველაძე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იან ვაუტერსმა თავიდან თადარიგში გაამწესა, ხოლო გიორგი ქინქლაძე იქაც ვერ ვიხილეთ. შოთას მინდორზე შესვლა ბენი მაკართის ტრავმის გამო უკვე მეშვიდე წუთზე მოუხდა.

„აიაქსს“ პირველი რეალური საგოლე მომენტი ტაიმის შუაგულში მიეცა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა იარი ლიტმანენმა ხარიხას გაარტყა ბურთი. ანგარიში ტაიმის ბოლო წუთზე გაიხსნა. გრონკიაერმა მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს ბრაზილიელი ვამბერტო დახვდა, რომელმაც ვარდნაში, შეუჩერებლივ ულამაზესი გოლი გაიტანა.

55-ე წუთზე „ფეიენოორდმა“ ანგარიში გაათანაბრა. ჯარიმიდან ვან გასტელის უძლიერესი დარტყმულ ბურთს ვან დერ სარი წინ ვერ აღუდგა. 71-ე წუთზე ამსტერდამელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს — ლიტმანენმა ცენტრიდან მიღებული პასი ერთი შეხებით, ქუსლით მელხიოტს საჯარიმოში შეუყოლა, რომელსაც მეორე გოლის გატანა არ გასჭირვებია. ორ წუთში „ფეიენოორდი“ ათი კაცით დარჩა მინდორზე. ორი წუთის შემდეგ ვამბერტოსთან უხეშობისთვის მსაჯმა მცველი კრისტიან გიანი გააძევა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა.

ჰოლანდიის თასის ფინალში „აიაქსი“ „სიტარდს“ შეხვდება, რომელმაც მეორე ნახევარფინალში „ეინდჰოვენი“ 3:1 დაამარცხა.

განო ოქროპირიძე

EURO 2000 ჩვენი ჯგუფი

ტირანიდინ რიგაში

ბალკანეთის ომმა ჩვენ ჯგუფზეც იქონია გავლენა. ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ ლატვიური ფეხბურთის თავკაცობამ უეფას 28 აპრილს ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში დაგეგმილი ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის მატჩის — ალბანეთი-ლატვიის რიგაში ჩატარება სთხოვა. ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში იმსჯელეს ამ საკითხზე და გადაწყდა — აღნიშნული შეხვედრა იმავე დღეს, 28 აპრილს, ლატვიის დედაქალაქში გაიმართება. ასევე ლატვიაში ჩატარდება ამ ქვეყნის და ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი. თარიღი აქაც უცვლელი დარჩა — 27 აპრილი.

ავსტრია

28-ე ტური: გრაცერი — ზალცბურგი 1:4; ლინცერი — აუსტრია 0:0; რაპიდი — შტაირი 2:1; ტიროლი — რიდი 1:0; ლუსტენაუ — შტურმი 1:2.

რაპიდი	28	16	9	3	44:21	57
შტურმი	28	18	2	8	56:26	56
გრაცერი	28	15	5	8	33:24	50
ლინცერი	28	13	6	9	39:31	45
ზალცბურგი	28	12	8	8	43:33	44
აუსტრია	28	10	9	9	31:32	39
ტიროლი	28	10	8	10	30:34	38
რიდი	28	6	7	15	22:32	25
ლუსტენაუ	28	3	10	15	21:50	19
შტაირი	28	2	6	20	24:60	9

შოტლანდია

რეინჯერსი 1:0 დანფერმლაინი

1:0 ვან ბრონკჰორსტი (38)

ჰარტსი 2:4 სელტიკი

0:1 რისეტი (2), 0:2 ბლინკერი (8), 1:2 ადამი (27), 1:3 ვიდუკა (29), 2:3 ადამი (47), 2:4 ვიდუკა (51)

რეინჯერსი	30	20	5	5	65:27	65
სელტიკი	30	17	8	5	76:27	59
კილმარნოკი	30	13	11	6	38:24	50
სტ. ჯონსტონი	29	12	9	8	35:36	45
მოზერველი	30	8	10	12	31:43	34
აბერდინი	30	9	7	14	36:54	34
დანდი	30	9	6	15	26:51	33
დანდი იუნ.	29	7	8	14	29:37	29
ჰარტსი	30	7	7	16	29:47	28
დანფერმლაინი	30	4	15	11	23:42	27

რუმინეთი

თასის ნახევარფინალი

დინამო — სტიაუა 1:2

რაპიდი — ბაჩაუ 1:0

„სტიაუა“ ტრადიციული მეტოქესთან, „დინამოსთან“ შეხვედრაში თავიდან ჩამორჩენილი გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ ორი გოლის გატანა მოახერხა და მოიგო. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდი, რომელსაც ჩემპიონატში საქმე ცუდად წაუვიდა და ტიტულის შენარჩუნების ყოველგვარი შანსი დაკარგა, ჯერ კიდევ რნარჩუნებს მომავალ სეზონში ევრითასებზე გასვლის შესაძლებლობას.

„სტიაუამ“ ბოლო 20 წუთში თავდამსხმელების, ლაურენტიუ როსუს და იონელ დანჩიულესუს გოლებით შეძლო დინამოელთა კაპიტრის, იონუტ ლუპესკუს პენალტი გაბათილება და ძლევა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა ფრიად ნერვიული გამოდგა, რასაც მსაჯის მიერ შვიდეჯერ აღმართული ყვითელი ბარათი ადასტურებს. ასეთი კატეგორიულობა არბიტრს მაშინ დასჭირდა, როდესაც ლუპესკუ პენალტს არტყამდა.

საპასუხო შეხვედრები 5 მაისს გაიმართება.

ერთქულიანი დუმილი

საფრანგეთი

XXIX ტური

ბასტია 1:1 სოშო
1:0 პერესი (33), 1:1 დალე (77)

რენი 2:0 ლანსი
1:0 ნონდა (11), 2:0 ბუსე (78)

ბორდო 0:0 ლორიანი

ოსერი 0:3 მონაკო
0:1, 0:2 ჟიული (60, 72), 0:3 იკპება (85)

მეცი 1:1 პსჟ
0:1 ალეერინო (24), 1:1 იესტროვიჩი (58)

ლე ავრი 2:1 ნანტი
0:1 და როშა (4), 1:1 ვებერი (57), 1:2 სომკონგი (64)

მონპელიე 1:3 ლიონი
0:1 კავეგლია (32), 1:1 დელეი (76), 1:2 კავეგლია (85პ), 1:3 ბასილა (90)

სტრასბური 2:0 ტულუზი
1:0 ბერტენი (76პ), 2:0 მარტენსი (83)

„თამაშის წინ ჩვენთვის ვინმეს რომ ეთქვა, ქულას მოიპოვებთო, ძალიან გაგვიხარდებოდა. ახლა კი ვფიქრობ, სამი ქულის აღებაც შეგვეძლო“ — თქვა „ბორდოსთან“ უგოლო ფრის შემდეგ „ლორიანის“ თავდამსხმელმა ალი ბუაფიამ.

ჟირონდელებმა მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგეს თავიანთ მოედანზე. დისკვალიფიცირებული იოან მიკუს არყოფნაში მასპინძლებმა „ლორიანის“ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. მეტიც, ერთი- ორ მომენტში ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ მარცხის მაუწყებელი გოლი არ გაუშვეს. ახლა „ბორდო“ საფრანგეთის ჩემპიონი რომ ვერ გახდეს, ორ დებიუტანტთან შინ ორი ფრე მწარედ გაახსენდება („სოშოსთანაც“ 0:0).

მთელი მატჩის მანძილზე მასპინძლებმა ანჯელო იუგის კართან მხოლოდ რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა მოახერხეს. თანაც გოლის გატანის შანსი მათ მხოლოდ საჯარიმო დარტყმებიდან მიეცათ, მაგრამ ხან ბურთი ასცდა კარს და ხანაც იუგი იყო მოწოდების სიმაღლეზე. ბუაფია-ლოკო-პედრონის კომბინაციას პირველი ტაიმის ბოლოსკენ კი შეიძლებოდა, ულრიხ რამეს კარში მოჰყოლოდა გოლი, მაგრამ დაცვაში ფრანსუა გრენემ ითამაშა კარგად.

მეორე ტაიმში არაფერი შეცვლილა. „ბორდო“ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, თუმც გოლის გატანა არ ეწერა. მატჩის მიწურულს კი შეხვედრის არბიტრს მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანის დანიშვნაც შეეძლო, როცა ბუაფიას ნაცვლად გამოსული უკუნკუ ფერიესთან ბრძოლისას წაიქცა, მაგრამ მან დუმილი ამჯობინა, რითაც „ბორდომ“ ქულა „მოიპოვა“.

ჟირონდელთა მეტოქე „მარსელმა“ გუშინ გვიან ღამით ითამაშა „ნანსისთან“ მონპელიეში. ამ მატჩის ერთი დღით გადატანის მიზეზი „ოლიმპიკის“ სტადიონის დისკვალიფიკაცია და „მონპელიეს“ საშინაო შეხვედრა იყო.

„ლიონმა“ კვლავ მოიგო და ფაქტობრივად მესამე ადგილიც გაინაღდა, „მონპელიემ“ კი ზედიზედ მეექვსეჯერ ვერ გაიმარჯვა შშობლიურ „ბოსონზე“. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ორივე გუნდს ჰქონდა მშვენიერი საგოლე მომენტები. ანგარიში ბრეშეს ჩაწოდების შემდეგ ლამაზი თავურით სტუმართა კაპიტანმა ალენ კავეგლიამ გახსნა. მერე დელეის და უედეკს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ „ლიონის“ მეკარე კუპემ ივაჟკაცა. თუმცა საფინალო სასტვენამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე დელეიმ თავი მაინც გამოიჩინა. მას ასისტენტობა რობერმა და მაულიდამ გაუწიეს.

ბოლო წუთები კი მთლიანად სტუმრების იყო. ჯერ გრასის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან კავეგლიამ პირველ დივიზიონში თავისი მე-100 გოლი გაიტანა, მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ბასილამ მესამედ დაამწუხრა „მონპელიე“.

„ამ სეზონში ეს ჩემი პირველი დუბლია. ძალიან კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს „ლიონის“ გასწრების შანსი“ — თქვა ექსლიონელმა ლუდოვიკ ჟიულიმ, რომელმაც ორჯერ გაუტანა „ოსერს“. პირველ ტაიმში „მონაკოს“ არანაირი უპირატესობა არ ჰქონდა და ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ გი რუს გაწვრთნილი გუნდი დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა. მაგრამ „ოსერმა“ მეორე ნახევარი შეტევებით დაიწყო, დაცვა მოაშიშვლა და დაისაჯა კიდეც. თუ მარლემ, დენიომ და სხვებმა „მონაკოსა“ და საფრანგეთის ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზს ვერაფერი დააკლეს, სამაგიეროდ, მისმა ოსერელმა კოლეგა კულმა სამჯერ გამოიტანა ბურთი საკუთარი კარის ბადიდან.

„პირველი ტაიმი მშვენივრად ჩავატარეთ და ძალიან ვნანობ, რომ დავმარცხდით. უპრობლემოდ შეგვეძლო, მატჩი 0:0 დაგვემთავრებინა, მაგრამ სამი ქულის მოსაპოვებლად ვიბრძოდით და მეტოქემ კონტრშეტევებზე დაგვიჭირა. თანაც იღბალიც მათ მხარეს იყო“ — ჩიოდა გი რუ.

გაიოზ თალაკვაძე

ბორდო	29	19	6	4	58:22	63
მარსელი	28	18	7	3	49:22	61
ლიონი	29	16	8	5	45:25	56
რენი	29	14	8	7	39:32	50
მონაკო	29	14	7	8	45:29	49
ნანტი	29	10	11	8	36:30	41
ლანსი	29	12	5	12	35:36	41
მონპელიე	29	10	7	12	45:44	37
პსჟ	29	8	9	12	25:27	33
სტრასბური	29	7	12	10	24:29	33
ბასტია	29	9	6	14	33:39	33
ოსერი	29	8	8	13	36:40	32
ლე ავრი	28	8	8	12	21:31	32
ნანსი	28	8	7	13	28:37	31
მეცი	29	7	10	12	24:35	31
ლორიანი	29	6	11	12	25:43	29
ტულუზი	29	5	11	13	19:41	26
სოშო	28	3	13	12	22:47	22

REUTERS ბორდოდან

ბორდო — ლორიანი 0:0. კიკი მუსამპამ და „ბორდომ“ „ლორიანის“ დაცვა ვერ გაარღვიეს

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3 - 24 April 1999

REUTERS ლაგოსიდან

პარაგვაი — ურუგვაი 2:2. ამ ლამაზ და დაძაბულ თამაშში იყო ყველაფერი — სიხარულიც და ცრემლიც

პრიან თექვსმეტნი, დარჩებიან რვანი

ირლანდია 1:1 (პენ 3:5) ნიგერია

1:0 სედლირი (35), 1:1 იკედია (70)

ირლანდია: დელინი, ჰირი, გევინი, ქუინი, მაკკილი, კინი, დაფი (პეიკერი 77), ჰილი (კროსლი 90), სედლირი (დოჰერტი 65), დონოლი, ფერგიუსონი

ნიგერია: ოკოუე, ოკუნოვო, არანჯა, იკემეფუნა, გარბა, მელქამი (ოკპალა 118), მუსა, იკედია, იობო (დომბრეი 66), აფოლაფი, ილოანუსი

გაფრთხილება: იობო (43)

მსაჯი: ლუ იუნი (ჩინეთი)

გაიტანა ირლანდიელმა, შეაგდო ნიგერიელმაც, კვლავ გაიტანა ირლანდიელმა, ისევ გაქვითა ნიგერიელმა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას ახსოვს შემთხვევები, როცა პენალტების სერია ძალიან დიდხანს გაგრძელებულა, მაგრამ კანოში მეტოქეები მხოლოდ ხუთი პენალტით დაკმაყოფილდნენ — ნიგერიელთა კარის დარაჯმა სემ ოკოუემ ირლანდიელი ტომ ჰირის დარტყმა მოიგერია და... გულშემატკივრებმა იხუჯლეს. მასპინძელთა გუნდი დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გავიდა მეოთხედფინალში, თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონი ირლანდია კი ბრძოლას გამოეთიშა.

ტურნირზე მყოფი სპეციალისტები გამარჯვებას ირლანდიას უწინასწარმეტყველებდნენ. ამას ორი მიზეზი ჰქონდა — როგორც გუნდი, ირლანდია უკეთესი იყო და ჯგუფურ ტურნირში მასპინძელზე კარგ თამაშს აჩვენებდა, ამასთანავე, ნიგერიელებს ახალი თავკაცი ტის ლიბრეგტსი ჰყავდათ, რომელსაც გუნდის საბრძოლოდ განწყობა და მომზადება შესაძლოა დროზე ვერ მოესწრო.

იყვნენ ისეთებიც, მეოთხედფინალისტად ნიგერიას რომ მიიჩნევდნენ. „სუპერმართველებს“ ერთადერთი უპირატესობა ჰქონდათ — საშინელი ხვატი. ადვილი წარმოსადგენია, რა პაპანაქება იქნებოდა შუადღის ოთხ საათზე ნიგერიაში.

— სამწუხაროა, რომ ფეხბურთში ხშირად მეტეოროლოგიური პირობები თამაშობს გადამწყვეტ როლს. ღრმად ვარ დარწმუნებული, მასპინძლებს სადმე სხვაგან, შედარებით ნორმალურ ადგილას რომ დავპირისპირებოდით, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. სიცხემ ძალიან, ძალიან დაგვრთგუნა.

ძნელია, დაეჭვდე ირლანდიელის სიტყვებში — ირლანდია ნამდვილად სჯობდა ნიგერიას და ეს აშკარა იყო, მერე კი, როგორც ჩანს, სიცხეს ჩვეულმა მასპინძლებმა დაჩაგრეს გათანგული სტუმრები. ირლანდიელთა მეკარე დინ დელინიმ წაგების შემდეგ დაიჩივლა, იმდენად ცხელოდა, თითქმის ყოველ ხუთ წუთში თავზე წყალს ვისხამდი, რომ გული არ წამსვლოდაო.

განა 2:0 კოსტა რიკა

1:0 აფრიუ (18), 2:0 ოფორი კუაე (82)

განა: აჯეი, ამოაკო, ისა, რაზაკი, აბდულაი (ადუ 85), ჰამზა, ანია, ანსა (ამუზუ 64), ბლეი, ოფორი კუაე, აფრიუ

კოსტა რიკა: ვილეგასი, გარიტა, როდრიგესი, მარტინესი, ალპისარი (უგარტე 75), სანტანა, დიასი, ფონსეკა (პარკსი 46), არიასი, ბრენესი (ვიკეესი 46), ესკუიველი

გაფრთხილება: ამუზუ (65), აპია (66), არიასი (78), არიასი (87)

გაძევება: არიასი (87)

მსაჯი: არტურო დუდენ იბანესი (ესპანეთი)

თუ ვინმე შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატად, მათ შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ განა. იტალიელმა მწვრთნელმა ჯუზეპე დოსენამ უდავოდ ძლიერი და დიდი მომავლის მქონე ნაკრები შექმნა.

რატომაა განა ტურნირის ფავორიტი? — უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თამაშობს ჭეშმარიტ ფეხბურთს, რომელსაც გულშემატკივრებისთვის ესთეტიკური სიამოვნების გარდა შედეგიც მოაქვს. დღევანდელი ფეხბურთში შედეგია მნიშვნელოვანი. განას ნაკრებს შედეგი აქვს და ამასთან ერთად, ლამაზადაც თამაშობს.

— გუნდმა საფუძვლიანად შეისწავლა მეტოქე. ბიჭებს მივუთითე, თუ რა იყო კოსტარიკელთა ხარვეზები, მათი სუსტი მხარეები. გამარჯვების საიდუმლო სწორედ ესაა — ასე უპასუხა დოსენამ ჟურნალისტის კითხვას, რომელიც განელთა წარმატების საიდუმლოს ეხებოდა.

— რა გითხრათ. ძალიან გახარებული ვარ გამარჯვებით. მეტისთვის ვიბრძოლებთ — განაცხადა პირველი გოლის ავტორმა.

...განა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მხოლოდ მესამედ მონაწილეობს და კვლავ მეოთხედფინალშია.

პარაგვაი 2:2 (პენ 9:10) ურუგვაი

0:1 ჩევანტონი (32) 0:2 ფორლანი (49), 1:2, 2:2 სანტა კრუზი (62პ, 86)

პარაგვაი: ფლორენტინი, მარტინესი (კუევასი 46), ბლანკო, და სილვა, მალდონადო, ხიმენესი, ფერნანდესი (ვერა 56), სანტა კრუზი, ესკობარი, მარეკოსი, კაბანიასი (დომინგესი 68)

ურუგვაი: კარინი, კარეიო, სიმონდო, პოუსო, პელეგრინი, კორეა, ჩევანტონი (კორდოსო 92), ლეგასა (კანობიო 79), ანჩენი, მაკალესო, ფორლანი (მაჩადო 59)

გაფრთხილება: კარენო (7), პოუსო (16), ანჩენი (47), პოუსო (74), მაკალესო (106)

გაძევება: მარეკოსი (44), პოუსო (74)

მსაჯი: ფელიპე დე ხესუს რისო რამოსი (მექსიკა)

როგორ არა, ასეც ხდება — როკე სანტა კრუზმა, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი ორი გოლი გაიტანა და ურუგვაელებს გაუყიმა... და გადამწყვეტი პენალტი გააფუჭა.

ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდებოდა სანტა კრუზი. ბიჭს გამარჯვებამდე ერთი ზუსტი დარტყმა აკლდა და მისდა სამწუხაროდ, სწორედ მაშინ უმუხთლა ბედმა. ეტყობა, ძალიან, ძალიან ნერვიულობდა.

— ბრწყინვალე თამაში იყო. სწორედ ისეთი, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალს რომ შეშვენის. რომ მოგვეგო, ეს ჩვენთვის უდიდესი სიხარული იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რაღდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მარცხის მიუხედავად, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით კი სანტა კრუზს ვემადლიერები — პარაგვაელთა მწვრთნელმა მარიო ჟაკემ გმირის და ამავდროულად ანტიგმირის, როკე სანტა კრუზის გამხნევება სცადა.

სახელდობრ თამაში მართლაც კარგი სანახავი გამოდგა. ფეხბურთიც მაღალი დონისა გახლდათ და თან დაძაბულობაც უდიდესი იყო.

ოთხი გოლი, სამჯერ შეზანზარებული კარის ძელი, მეკარეთა შესანიშნავი თამაში, თავდამსხმელთა მოულოდნელი გადაწყვეტილებები, მსაჯის ობიექტური მოქმედება... ყველაფერმა ამან უდავოდ დიდი ხიბლი შემატა შეხვედრას, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც პენალტების სერია გახლდათ — 10:9. ასეთი რამ, დაგვეთანხმებით, ძალიან იშვიათია.

ბრაზილია 4:0 ხორვატია

1:0, 2:0 რონალდო (21, 45), 3:0 ფერნანდო ბაიანო (48), ედუ (68)

ბრაზილია: ფაბიო, ხუანი, ფაბიო ბილიკა, მატუსალუმი (როდრიგო გრალი 79), ფერუჯსემი, ფაბიო ბურელიო, რონალდო, ალექსანდრი (ტიაგო 76), ფერნანდო ბაიანო, ედუ (ჯოვანი 74), მანჩინი

ხორვატი: პლეტიკოსა, პოლოვანეცი, საბლიჩი, მიატოვიჩი, სერიჩი, მიკიჩი (ლოვრეკი 84), ვრანიესი, ბალატინაჩი, დერანია (ბუდანი 64), საბოლსკი, ანდრიჩი (ბანოვიჩი 57)

გაფრთხილება: სერიჩი (24), მიკიჩი (36), დერანია (42), მიატოვიჩი (47), ტიაგო (78)

მსაჯი: ეჰმად ნაბილ აიდი (ლიბანი)

საინტერესო ფაქტია — ბრაზილიის ნაკრებმა ხორვატიას ოთხი გოლი შეუგდო, არადა, ევროპელთა დაცვა ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ ითვლებოდა მიმდინარე ჩემპიონატში. ოთხივე გოლი, რონალდოს ორი ბურთისა არ იყოს, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ შეტევებს მოჰყვა.

ბრაზილიელებს ერთი დადებითი თვისება აქვთ — მათ თამაშში შეიმჩნევა სიმსუბუქე, თავისუფლება და უდიდესი საგოლე ალღო. უცქერ ბრაზილიელთა თამაშს და დარწმუნებული ხარ, რომ ამ გუნდის მოვალეობა გოლის გატანაა. როცა სხვა ნაკრებებს თუნდაც იმავე ხორვატთა კარის დალაშქრა უჭირთ, ბრაზილიელთათვის ბურთის შეგდება რთული საქმე სულაც არაა.

ხორვატია ჯგუფში კარგად თამაშობდა. განას, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ტოლი არ დაუდო და თავი არ დააჩაგვრინა, მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინას, ვერ ვიტყვით, აჯობაო, მაგრამ არც არგენტინელები ყოფილან ძლიერნი. ყაზახეთს იმ ანგარიშით მოუგო, რომლითაც უნდა მოეგო. ბრაზილიასთან რა დაემართა? ვგონებთ, მიზეზს ყველაზე უკეთესად ხორვატთა მწვრთნელი მარტინ ნოვოსელაკი ახსნის:

— რონალდოს მეორე გოლმა გაგვტეხა. ეს აშკარა იყო. ბიჭები გასახდელში რომ ჩამოვიდნენ, შევატყე, ჩვენი საქმე წასული იყო. ფეხბურთელებს შესისხლხორცებული ჰქონდათ ის აზრი, რომ ჩემპიონატიდან გამოვარდნენ. ასეთ დროს გუნდს მწვრთნელი კი არა, კარგი ფსიქოლოგი სჭირდება. სამწუხაროდ, გასახდელში მხოლოდ მე და ფეხბურთელები ვიყავით.

ლაშა გოდუაძე

საღოლ, ვერონიკა!

ზიდანი „იუვენტუსიდან“ მიდის!

ზინედინ ზიდანი სეზონის ბოლოს ტურინის „იუვენტუსს“ დატოვებს.

ცოტა არ იყოს, სკანდალური და „იუვენტუსის“ ქომაგთათვის გულისგამხეთქი წინადადება გამოგვივიდა, მაგრამ რას იზამ — ფაქტი ჯიუტია.

გუშინ ფიფას „უორლდ სოკერის“, „ფრანს ფუტბოლის“ და სხვა ვერსიებით (მათ შორის, ჩვენი) წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა გაზეთ „ლა რეპუბლიკას“ ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც თავის მომავალზე ისაუბრა:

— „იუვენტუსთან“ ხელშეკრულება 2004 წლამდე მაქვს გაფორმებული, მაგრამ სეზონის ბოლოს იტალიის დატოვებას ვაპირებ. კარიერას ესპანეთში გავაგრძელებ, ვინაიდან ჩემი მეუღლე ესპანელია და ძალიან ენატრება საშშობლო. ოჯახი ჩემთვის უმთავრესია და თუ იგი სადმე თავს ცუდად გრძნობს, ამ შემთხვევაში ტურინში, მზად ვარ, ბევრი რამ დავთმო.

დღეს მე „იუვენტუსის“ წევრი ვარ. ასე იქნება სეზონის ბოლომდე. მერე კი მე, კლუბის მენეჯერები და ჩემი ცოლი დავსხდებით და ყველაფერზე მოვილაპარაკებთ.

ასეთი ამბებია. ვერ გეტყვით, ზიდანების ოჯახში ფემინიზმია გამეფებულიო, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ — ფაქტი ჯიუტია — ზიზუს მეორე ნახევრის სიტყვას მართლაც დიდი წონა ჰქონია.

თუ გახსოვთ, ორიოდ დღის წინ გაცნობეთ, რომ საფრანგეთი 98-ის ფინალში ორი გოლის გამტან კაცს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეპატიუებოდა, მაგრამ ვერონიკა (ზიდანის ცოლი) სასტიკ უარზე დადგა — ინგლისურ ჰავას ვერ ვიტანო. ახლა კი ქალბატონმა ზიდანმა იტალიის ჩრდილოეთში მდებარე ინდუსტრიული ქალაქიც მოიძულა.

ამ ამბავმა ტურინში, განსაკუთრებით „იუვენტუსის“ ბანაკში, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, ესპანეთის დედაქალაქში კი გაგიხარიათ — დადებითზე დადებითი.

და რა შუაშია აქ მადრიდი?

ჯერ ტურინზე ვთქვათ, უფრო სწორად, „იუვენტუსის“ ზოგიერთი წევრის აზრი მოვისმინოთ.

იტალიის ჩემპიონის გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოგიმ რამდენიმე დღის წინ თქვა, ზიდანს არასდიდებით არ დავთმობთ, გაისად ძალიან გვჭირდებაო. ვერონიკას გააქტიურების შემდეგ მას ხმა აღარ ამოუღია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

დამწუხრებულია „იუვენტუსის“ ახალდანიშნული მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.

— ზიდანი გუნდის ცენტრალური ფიქურაა, უმნიშვნელოვანესი. არა აქვს მნიშვნელობა, „იუვენტუსი“ 4-4-2, 4-3-3 თუ 8-1-1 სქემით თამაშობს, იგი ყოველთვის შეუდარებელია.

ზინედინ და ვერონიკა ზიდანები

სარბიელის არქივიდან

ახლა მადრიდში გადავინაცვლოთ, სადაც დიდ სიხარულს დაუსადგურებია. საქმე ის არის, რომ ზიდანის გადაწყვეტილების გაგება და „რეალ“ — „ატლეტიკოდან“ „იუვენტუსის“ ოფისში სატელეფონო ზარებ-ფაქსების მოზღვავება ერთი იყო. ბრწყინვალე გამთამაშებელს ყველა მადრიდულ კარიერას უწინასწარმეტყველებს, მაგრამ...

რაღაც ძალიან პასიურობს „ბარსელონა“, ხმას საერთოდ არ იღებს. რაშია საქმე?

სანამ ეს გაირკვეოდეს, მანამდე დღევანდელობით დავკმაყოფილდეთ. დღევანდელობა კი, ზიდანის აზრით, ასეთი გახლავთ:

— „იუვენტუსს“ კვლავაც შეუძლია სასწაულების ჩადენა. ვისაც არ სჯერა, ცოტაც მოიცადოს, ჩემპიონთა თასი ტურინში ჩამოვა.

დავით კოვზირიძე

ინტერტოტო წლეულს

ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა საფეხბურთო ქვეყანამ, საბერძნეთის და პორტუგალიის გარდა, წლევანდელ ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

60 გუნდიანი შეჯიბრი, რომლის გამარჯვებულიც არანაირი ტიტულის მფლობელი არ ხდება, უბრალოდ, სამი საუკეთესო კლუბი უეფას თასის საგზურს იღებს, 19 ივნისს დაიწყება და 24 აგვისტომდე გასტანს.

ტურნირის ფორმატი იგივე იქნება, რაც შარშან. 8 წამყვანი ქვეყნის თითო გუნდი პირველი ორი წრიდან თავისუფალია. ეს რჩეულნი გათამაშებაში მხოლოდ მესამე ეტაპიდან ჩაერთვებიან.

პირველ წრეში 40 კლუბი მიიღებს მონაწილეობას. შეხვედრები 19-20 და 26-27 ივნისს, უქმეებზე გაიმართება. მეორე წრეში აქედან 20 გუნდი გავა, სადაც მათ დარჩენილი ოციდან, ზემოხსენებული რვა რჩეულის გამოკლებით, 12 დაემატება. მეორე ეტაპის მატჩები 3-4 და 10-11 ივლისს ჩატარდება.

გამარჯვებული 16 გუნდი მესამე წრეში გააღწევს. იქ მათ 8 ბობოლა შეუერთდება და ყველა ერთად 12 საუკეთესოს გამოსავლენად იბრძოლებს. ეს მატჩები 17-18 და 24 ივლისს გაიმართება.

დარჩა 12 კლუბი. ისინი პირობითად ნახევარფინალისტები არიან. „ნახევარფინალები“ 28 ივლისს და 4 აგვისტოს, ხოლო „ფინალები“ 10 და 24 აგვისტოს შედგება. „ფინალებში“ 60-დან შემორჩენილი 6 უძლიერესი ერთმანეთს შეხვდება და გაირკვევა სამი საუკეთესო კლუბი, რომლებიც შემდგომ უეფას თასისთვის დაიწყებენ ბრძოლას.

რაც შეეხება 8 განთესილს, ისინი შემდეგი ქვეყნებიდან იქნებიან: იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ინგლისი, თურქეთი და ავსტრია.

დაბოლოს ფინანსებზე. თითოეული კლუბი, რომელიც პირველ სამ ეტაპს გადალახავს, 50 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს, ხოლო შემდგომ გავლილ თითოეულ წრეზე (ასეთი ორი რჩება — მეოთხე და მეხუთე) გუნდის სალარო 40 ათასი ფრანკით შეივსება. უეფამ კლუბებს და ფეხბურთის ფედერაციებს ნება დართო, ერთმანეთთან მოლაპარაკების საფუძველზე აწარმოონ ტელეტრანსლაციები და სხვა სამარკეტინგო წვრილმანები, ოღონდ იმ პირობით, რომ გარიგებიდან 10 პროცენტს უეფა მიიღებს.

სავსებით შესაძლებელი

პორტუგალიურ გაზეთ A BOLA-ს ცნობით, ლისაბონის „ბენფიკას“ ხელმძღვანელობაში ცვლილებაა მოსალოდნელი. კლუბის ამჟამინდელ მწვრთნელს, შოტლანდიელ გრემ სუნესს გერმანელი იუპ ჰაინკესი შეცვლის.

ამ ინფორმაციას გერმანული გამოცემა „კიკერიც“ ადასტურებს, სადაც ისიც წერია, რომ ჰაინკესი პორტუგალიის უძლიერეს (ისტორიულად) გუნდს 1 ივლისს ჩაუდგება სათავეში და ამ სამუშაოს ორი წლის განმავლობაში შეასრულებს.

თავად „ბენფიკას“ ბანაკი ჯერჯერობით დუმს, ხოლო ჰაინკესმა, რომელსაც პორტუგალიელი ჟურნალისტები შინ, მიონხენგლადბახში შეეხმიანენ, თქვა:

— ამ წუთისთვის შემოთავაზებულ წინადადებაზე არც ჰო მითქვამს და არც არა. მეტს ვერაფერს გეტყვით.

შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, 45 წლის გრემ სუნესის „ბენფიკადან“ გაშვებაზე ცოტა ხნის წინ დაიწყო საუბარი. მიზეზი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გახლდათ — კლუბის უფროსობა უკმაყოფილო იყო მისი საქმიანობით. „ბენფიკა“, ევროტურნირებზე ლაპარაკი ზემეტია, პორტუგალიაშიც თმობს პოზიციებს. დღეისთვის ლისაბონელები ექვსი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ „პორტუს“, ხოლო ერთით — „ბოავიშტას“ და მესამე საფეხურზე იმყოფებიან. ამავდროულად სუნესს, რომელსაც „ბენფიკასთან“ 2000 წლის ივნისამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული, ბრიტანელი ფეხბურთელებისადმი გადამეტებულ სიმპათიაში, ადანაშაულებენ. მას შემდეგ, რაც კლუბს შოტლანდიელი ჩაუდგა სათავეში, „ბენფიკა“ ბრიტანელებით (არცთუ მაღალი კლასის) შეივსო.



იუპ ჰაინკესი

რაც შეეხება იუპ ჰაინკესს, იგი დაახლოებით ერთი წელიწადია, უმუშევრად არის. შეგახსენებთ, რომ შარშან მაისში მისი ხელმძღვანელობით მადრიდის „რეალმა“ 32-წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ (მეშვიდედ) დაისაკუთრა ჩემპიონთა თასი. ამას რატომღაც გერმანელის სამეფო კლუბიდან გათავისუფლება მოჰყვა. 1998 წლის შემოდგომაზე ჰაინკესი გერმანიის ერთეული გუნდის თავკაცობისთვის იბრძოდა, მაგრამ ბერტი ფოგთსის შემცვლელად გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ერიხ რიბეკი დანიშნა.

ისე, თუ მოხდა და ჰაინკესი დათანხმდა, სავსებით შესაძლებელია, გაისად ჩემპიონთა თასს ლისაბონის „ბენფიკა“ დაეპატრონოს.

ლიბერტადორესის თასი

I ჯგუფი

ნასიონალი (ურუგვაი)	6	4	0	2	9:3	12
ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა)	6	3	0	3	9:14	9
ბელა ვისტა (ურუგვაი)	6	2	1	3	9:6	7
მონტერეი (მექსიკა)	6	2	1	3	10:9	7

შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: „ნასიონალი“, „ესტუდიანტეს დე მერიდა“ და „ბელა ვისტა“.

II ჯგუფი

ველეს სარსფილდი (არგენტინა) 3:0 დეპორტივო კალი (კოლუმბია)

1:0, 2:0 კამპსი (10, 29), 3:0 პანდოლფი (79)

ველეს სარსფილდი (არგენტინა)	6	2	3	1	6:3	9
დეპორტივო კალი (კოლუმბია)	6	3	0	3	4:8	9
რივერ პლეიტი (არგენტინა)	6	2	2	2	8:8	8
კალდასი (კოლუმბია)	6	2	1	3	7:6	7

შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: „ველეს სარსფილდი“, „დეპორტივო კალი“ და „რივერ პლეიტი“.

III ჯგუფი

პალმეირასი (ბრაზილია) 2:1 სერო პორტენო (პარაგვაი)

0:1 ხუნხესი (48), 1:1 ჟუნიორ ბაიანო (59), 2:1 არსე (63)

კორინთიანსი (ბრაზილია) 4:0 ოლიმპია (პარაგვაი)

1:0, 2:0, 3:0 დინეი (5, 54, 57), 4:0 მარსელინიო (84)

კორინთიანსი (ბრაზილია)	6	4	0	2	16:8	12
პალმეირასი (ბრაზილია)	6	3	1	2	12:10	10
სერო პორტენო (პარაგვაი)	6	2	1	3	14:20	7
ოლიმპია (პარაგვაი)	6	1	2	3	11:15	5

შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: „კორინთიანსი“, „პალმეირასი“ და „სერო პორტენო“.

IV ჯგუფი

კოლო კოლო (ჩილე) 1:1 სპორტინგ კრისტალი (პერუ)

1:0 ნეირა (16), 1:1 ფერეირა (60)

უნივერსიტარიო (პერუ) 1:3 უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)

0:1, 0:2 ბრისუელა (44, 68), 1:2 კორია (70ა), 1:3 რიოსი (79)

უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)	6	3	2	1	9:5	11
კოლო კოლო (ჩილე)	6	2	2	2	5:7	8
უნივერსიტარიო (პერუ)	6	2	1	3	7:8	7
სპორტინგ კრისტალი (პერუ)	6	0	5	1	7:8	5

შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: „უნივერსიდად კატოლიკა“, „კოლო კოლო“ და „უნივერსიტარიო“.

V ჯგუფი

ბლუმინგი (ბოლივია) 3:1 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)

1:0 მენაჩო (47), 2:0 გუტიერესი (61), 3:0 ანტელო (71), 3:1 პერესი (77)

ლიგა დე კიტო (ეკვადორი)	6	3	1	2	10:8	10
ემელეკი (ეკვადორი)	6	3	0	3	9:12	9
ვილსტერმანი (ბოლივია)	6	2	2	2	9:9	8
ბლუმინგი (ბოლივია)	6	2	1	3	5:4	7

შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: „ლიგა დე კიტო“, „ემელეკი“ და „ვილსტერმანი“.
შენიშვნა: შემდეგ ეტაპზე ჯგუფებიდან სამ-სამი საუკეთესო გადის. ლიბერტადორესის თასის ბოლო მფლობელი ბრაზილიის „ვასკო და გამა“ მეორე ეტაპზე პირდაპირაა დაშვებული.

მერვედფინალები

14.04.99 ლიმა	უნივერსიტარიო (პერუ) — ველეს სარსფილდი (არგენტინა)	0:0
14.04.99 ასუნსიონი	სერო პორტენო (პარაგვაი) — ნასიონალი (ურუგვაი)	5:0
14.04.99 კოჩაბამბა	ვილსტერმანი (ბოლივია) — კორინთიანსი (ბრაზილია)	1:1
14.04.99 მონტევიდეო	ბელა ვისტა (ურუგვაი) — უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)	2:2
14.04.99 ბუენოს აირესი	რივერ პლეიტი (არგენტინა) — ლიგა დე კიტო (ეკვადორი)	1:0
14.04.99 გუაიაკილი	ემელეკი (ეკვადორი) — ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა)	1:3
14.04.99 კალი	დეპორტივო კალი (კოლუმბია) — კოლო კოლო (ჩილე)	2:0
14.04.99 სან პაულუ	პალმეირასი (ბრაზილია) — ვასკო და გამა (ბრაზილია)	1:1
21.04.99 ბუენოს აირესი	ველეს სარსფილდი (არგენტინა) — უნივერსიტარიო (პერუ)	
21.04.99 მონტევიდეო	ნასიონალი (ურუგვაი) — სერო პორტენო (პარაგვაი)	
21.04.99 სან პაულუ	კორინთიანსი (ბრაზილია) — ვილსტერმანი (ბოლივია)	
21.04.99 სანტიაგო	უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) — ბელა ვისტა (ურუგვაი)	
21.04.99 კიტო	ლიგა დე კიტო (ეკვადორი) — რივერ პლეიტი (არგენტინა)	
21.04.99 მერიდა	ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა) — ემელეკი (ეკვადორი)	
21.04.99 სანტიაგო	კოლო კოლო (ჩილე) — დეპორტივო კალი (კოლუმბია)	
21.04.99 რიო დე ჟანეირო	ვასკო და გამა (ბრაზილია) — პალმეირასი (ბრაზილია)	

მას შემდეგ 18 წელიწადი გავიდა...

რა ხდებოდა იმ ღამეს დიუსელდორფსა და თბილისში?

ოთხშაბათის „სარბიელში“ საჩუქარი გულშემატკივრებს: თასების მფლობელთა თასის რუბრიკაში სპეციალური ოთხგვერდიანი ჩანართი 1980-81 წლების გათამაშების შესახებ!

თასების მფლობელთა თასი

XIX გათამაშება 1978-79 წლები

ბარსელონა

ბარსელონა, ესპანეთი

ჰოლომონ ეყლისაძვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

ბარსას ეპოქის დასაწყისი

ფინალი. 110-ე წუთი. ჰანს კრანკლის გოლი ფორტუნას კარში

უკრუიფოდ დარჩენილმა „ბარსელონამ“ თავისი სიძლიერე მაინც დაამტკიცა, თასების თასი შინ წაიღო და ამით ტურნირის რეკორდს ჩაუყარა საფუძველი — „ბარსამ“ ეს პრიზი ყველაზე მეტჯერ, ოთხჯერ მოიპოვა. თიქოს სიმბოლურიცაა, გადამწყვეტ მატჩში ბარსელონელებმა ბაზელის „სენტ იაკობის“ სტადიონზე დიუსელდორფის „ფორტუნას“ მოუგეს. სარბიელზე, რომელზეც ათი წლის წინ თასთა თასის თავისი პირველი ფინალი წააგეს ბრატისლავის „სლოვანთან“.

რას წარმოადგენდა მაშინდელი „ბარსელონა“? 1978 წლის ზაფხულში კრუიფი გუნდიდან წავიდა და ამერიკის „კოსმოსში“ გადავიდა. სამაგიეროდ, ჩინებულ ფორმაში იყო მეორე ჰოლანდიელი იოჰან ნეესკენსი. შემადგენლობაში კიდევ ორი უცხოელი ირიცხებოდა, არგენტინელი სუვირია და ვენის „რაპიდიდან“ გადასული ავსტრიელი თავდამსხმელი ჰანს კრანკლი.

კრანკლმა სწორედ „ბარსაში“ გადასვლის წინ, 1977-78 წლების ავსტრიის ჩემპიონატში გაიტანა 41 ბურთი და ევროპის „ოქროს ბუცეც“ ირგუნა. ამათ გარდა კატალონიურ კლუბში ესპანეთის ნაკრების ხუთი ფეხბურთელი თამაშობდა: მცველები დე ლა კრუსი, ოლმო და მიგელი, ნახევარმცველი ასენსი და მეგოლე რექსაჩი.

მწვრთნელების მიმართ კი კლუბის მეპატრონეები ფრიად პრეტენზიულები იყვნენ. 1976 წლიდან მოყოლებული, დაახლოებით ორწელიწადნახევრის განმავლობაში, „ბარსამ“ ოთხი მწვრთნელი გამოიცვალა. ჯერ ჰოლანდიელი მიხელსი იყო, მერე ის გერმანელმა ვაისვალერმა შეცვალა, ცოტა ხანში ისევ მიხელსი დაბრუნდა და მალე ადგილი გაესპანელებულ ფრანგ მიულერს დაუთმო. 1978-79 წლების თასების თასის ტურნირი გუნდმა სწორედ ლიუსიენ მიულერის ხელმძღვანელობით დაიწყო, მაგრამ გაზაფხულზე ფეხბურთელების ერთ ჯგუფთან კონფლიქტი მოუვიდა და თანამდებობა რიფეს გადაულოცა.

ესპანელი ჟურნალისტები მიიჩნევდნენ, რომ რიფემ „ბარსას“ სტერეოტიპული სათამაშო სქემა გადაახალისა და უფრო მრავალფეროვანი გახადა. მწვრთნელმა აქცენტი ნახევარდაცვაზე გადაიტანა. რექსაჩი ოდნავ უკან დასწია და ნეესკენსთან და ასენსისთან ერთად მობილური შუახაზი ჩამოაყალიბა.

მერვედფინალში „ბარსას“ მეტოქე თასის მფლობელი „ანდერლეხტი“ გახლდათ. როცა თასთა თასის გათამაშების პირველი წრის კენჭისყრა გაიმართა, მიმომხილველებმა ფავორიტებად სწორედ ეს ორი გუნდი დაასახელეს. იმასაც ამბობდნენ, გადამწყვეტი შეხვედრა მათ შორის გაიმართებაო, მაგრამ ფავორიტები უკვე მერვედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ბრიუსელში „ანდერლეხტმა“ სამჯერ გაუტანა მეტოქეს (ორჯერ ვან დერ ელსტმა და კოეკმა). „ბარსა“ თავიდანვე ფრეზე თამაშობდა, ხისტად, ხშირად უხეშადაც მოქმედებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მეორე დღეს საგენტო „ფრანს პრესმა“ სკანდალური ინფორმაცია გამოაქვეყნა. მატჩის ოფიციალურ პირებს ეჭვი შეჰპარვიათ, ისეთი არაბუნებრივად აზარტული თამაში იყო, რაღაც ეშმაკობასთან გვაქვს საქმეო. ნამატჩევს პოლიცია კარგა ხანს შეყოვნდა ორივე გუნდის გასახდელთან, მერე დაახლოებით საათის განმავლობაში კლუბების ხელმძღვანელებს ელაპარაკებოდა. დილით გაირკვა, რომ „ანდერლეხტისა“ და „ბარსელონას“ სამ-სამმა ფეხბურთელმა უარი თქვა დოპინგ-კონტროლის გავლაზე. გვარები არ დაუსახელებიათ, მხოლოდ შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ერთი მათგანი ბელგიელი მცველი ბროოსი იყო. მასპინძლები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ — ბელგიური კანონებით, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი მოქალაქე, აუცილებლობის შემთხვევაში ვალდებულია, დოპინგ-კონტროლი გაიაროს, თუ არა და, სამი თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათო. ესპანელებმა პირველებმა თქვეს უარი შემოწმებაზე და ჩვენი მოთამაშეებიც ამიტომ გავჯიუტდნენო.

თავის მხრივ კატალონიელთა წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, უარი პირველად ჩვენ კი არა, მასპინძლებმა თქვესო. თანაც დაამატეს, ეს ამბავი ბელგიელებს თავიდანვე ჰქონდათ მოფიქრებული, რადგან თუ მატჩი მათთვის არასასურველი შედეგით დასრულდებოდა, პროტესტის საბაბი დაეტოვებინათო.

მოკლედ, ეს დავიდარაბა რამდენიმე დღეს გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მატჩის ანგარიში არ გაუუქმებიათ და ორი კვირის თავზე გუნდები ბარსელონაში, „კამპ ნოუს“ 100-ათასიანი აუდიტორიის თანდასწრებით შეხვდნენ ერთმანეთს. მე-8 წუთზე, კრანკლმა ერთი ბურთი გაქვითა, მერე ერედიამ და სუვირიამ ორიც შეაგდეს და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანეს. ზედმეტ ნახევარ საათს ბრიუსელელები კაცნაკლულნი შეხვდნენ, ძირითადი დროის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მსაჯმა დოპინგს გამოქცეული ბროოსი გააძევა.

დამატებითში „ანდერლეხტი“ მთელი გუნდით იცავდა თავს და მატჩისშემდგომ პენალტებს უმიზნებდა. ასეც მოხდა, მაგრამ ბელგიელებმა პირველივე ორი თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს და თასების თასს დაემშვიდობნენ.

მეოთხედფინალში, ინგლისურ „იფსვიჩთან“ თამაშის წინ, ყურადღების ცენტრში „ბარსას“ ნახევარმცველი ასენსი მოექცა. საქმე ისაა, რომ ასენსი ესპანეთში რაღაც ფეხბურთელთა პროფკავშირის მაგვარი ორგანიზაციის ლიდერი იყო და მატჩამდე კვირით ადრე მოთამაშეთა გაფიცვაში მონაწილეობდა. ყველას აინტერესებდა, როგორ ითამაშებდნენ გაფიცვამოხდილი კატალონიელები. კარგად ითამაშეს და მარცხის მიუხედავად (1:2), შემდეგ წრეში გასვლის შანსიც შეინარჩუნეს. „კამპ ნოუზე“ ინგლისელებმა „ბარსას“ ფორვარდებს პერსონალური მეურვეები მიუჩინეს. მასპინძლებს გაუჭირდათ, მაგრამ მაშველი მაინც გამოჩნდა. 39-ე წუთზე მცველი მიგელი მოულოდნელად შეიჭრა ინგლისელების საჯარიმოში და გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

მეორე ფინალისტი, დიუსელდორფის „ფორტუნა“, „ნაღდ გერმანულ“ ფეხბურთს თამაშობდა. გუნდის ლიდერები კი ძმები კლაუს და თომას ალოფსები იყვნენ. „ფორტუნას“ ერთ-ერთი მთავარი ღირსება ბრძოლისუნარიანობა გახლდათ და ეს გადამწყვეტ შეხვედრაშიც დამტკიცდა.

ბაზელურ ფინალში, „სენტ იაკობის“ სტადიონზე მოსული 58 ათასი მაყურებლიდან 35 ათასი ესპანელი იყო. ისინი მოუთმენლად ელოდნენ მატჩის დაწყებას და მინდორზე მათი საუკეთესო თავდამსხმელის — ჰანს კრანკლის გამოჩენას. აღმოჩნდა, რომ კრანკლი, რომელსაც იმ დროისათვის ესპანეთის ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 29 ბურთი ჰქონდა გატანილი, გადამწყვეტ მატჩამდე ათი დღით ადრე ავტოავარიაში მოჰყვა. თვითონ არ დაშავებულა, მაგრამ მისი ცოლი ინგა საშინლად დაიმტვრა და ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს. კრანკლი, ცხადია, მეუღლეს გვერდიდან არ მოშორებია და ბაზელში მხოლოდ თამაშის წინა ღამეს ჩავიდა, მაშინ, როცა ცოლის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ბარსელონა ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან დგანან: არტოლა, ალბალადეხო, ნეესკენსი, სუვირია, კოსტასი, მიგელი
სხედან: რექსაჩი, სანჩესი, კრანკლი, ასენსი, კარასკო

მრავალისმნახველი შვეიცარიელი ჟურნალისტების აზრით (მანამდე ბაზელსა და ციურიხში თასთა თასის ოთხი ფინალი იყო გამართული), თამაში ძალიან დინამიკური, ინტრიგით დატვირთული და დრამატული გამოდგა. წინასწარი პროგნოზი არ გამართლდა, რომლის მიხედვითაც მინდორზე „ცალმხრივი მოძრაობა“ უნდა ყოფილიყო (ანუ „ბარსას“ მთელი დრო შეტევებში გაეტარებინა). კატალონიელთა იერიშებს დასავლეთგერმანელები მეტად მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ.

მე-5 წუთზე რექსაჩის გადაცემით სანჩესმა გახსნა ანგარიში. ორ წუთში „ბარსელონას“ მეკარე არტოლა შეცდა, დიუსელდორფელი ბომერის დარტყმა ვერ დაიმორჩილა და იქვე მყოფმა თომას ალოფსმა გაათანაბრა. კიდევ ხუთ წუთში კარასკოს წაქცევისათვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი რექსაჩმა ვერ გამოიყენა. თუმცა, მალევე ასენსიმ კატალონიელები ისევ დააწინაურა. ტაიმის მიწურულს კვლავ არტოლას შეცდომა და 2:2. საქმე დამატებით დრომდე მივიდა. აქ კი ბარსელონელებმა იძალეს. ჯერ რექსაჩმა, მერე კი კრანკლმა ორჯერ გაუტანეს მეკარე დანიელს. გერმანელი ზეელის გოლს ბევრი აღარაფერი შეუცვლია, „ბარსა“ უკვე მდგომარეობას აკონტროლებდა.

ასე მოიპოვა „ბარსელონამ“ თავისი პირველი თასების თასი. პრიზი, რომელიც შემდეგ კიდევ სამჯერ ჩაიტანა კატალონიაში.

პირველი წრე

ფლორიანა (ვალეტა, მალტა) — ინტერი (იტალია) 1:3 (ტრაია), 0:5; ვალიური (ისლანდია) — მაგდებურგი (გდრ) 1:1, 0:4; სპორტინგი (პორტუგალია — ბანიკი (ჩეხოსლოვაკია) 0:1, 0:1; ბევერენი (ბელგია) — ბოლიმინა იუნაიტედი (ჩრდ. ირლანდია) 3:0, 3:0; ფერენცვაროში (უნგრეთი) — კალმარი (შვედეთი) 2:0, 2:2; მარეკი (ბულგარეთი) — აბერდინი (შოტლანდია) 3:2, 0:3; ბარსელონა (ესპანეთი) — შახტიორი (სსრკ) 3:0, 1:1; პაოკ (საბერძნეთი) — სერვეტი (შვეიცარია) 2:0, 0:4; უნივერსიტატია (რუმინეთი) — ფორტუნა (დიუსელდორფი, გფრ) 3:4, 1:1; ზაგლებე (სოსნოვეცი, პოლონეთი) — სპარტაკი ვაკერი (ავსტრია) 2:3, 1:1; ალკმაარი (ჰოლანდია) — იფსვიჩი (ინგლისი) 0:0, 0:2; შ

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXVII ტური

16.04	ბაიერნი — აინტრახტი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ჰანზა — კაიზერსლაუტერნი	2,9	2,8	2,3
17.04	ფრაიბურგი — შალკე	2,1	2,8	3,3
	დუისბურგი — ვერდერი	2,0	2,8	3,5
	ნიურნბერგი — ჰერტა	2,3	2,8	2,9
	ბოხუმი — შტუტგარტი	2,2	2,8	3,1
	ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ვოლფსბურგი — მიუნხენ 1860	1,9	2,9	3,6
18.04	ჰამბურგი — დორტმუნდი	3,1	2,8	2,2

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXVI ტური

16.04	ჰანოვერი — კოტბუსი	1,45	3,5	6,0
	0:1	2,1	3,0	2,2
	ულმი — ზანქტ პაული	1,6	3,2	5,0
	არმინია — დიუსელდორფი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
18.04	უნტერჰახინგი — ობერჰაუზენი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ფიურტი — ბერლინი	1,7	3,0	4,7
	მაინცი — გიუტერსლო	1,6	3,4	4,4
	ვატენშაიდი — კიკერსი	2,0	2,9	3,4
	კარლსრუე — ურდინგენი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
19.04	კიოლნი — ფორტუნა	1,9	3,0	3,5

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXIV ტური

17.04	ჩარლტონი — ლიდსი	2,5	2,9	2,5
	ქოვენთრი — მიდლსბრო	2,3	2,8	2,9
	ლივერპული — ასტონ ვილა	1,9	2,9	3,6
	მანჩესტერ იუნაიტედი — შეფილდ უენსდეი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ნიუკასლი — ევერტონი	1,6	3,0	5,6
	ნოტინგემი — ტოტენჰემი	4,2	2,9	1,8
	საუთჰემპტონი — ბლეკბერნი	2,2	2,9	3,0
	ვესტ ჰემი — დერბი	1,7	2,9	5,0
18.04	ჩელსი — ლესტერი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
19.04	არსენალი — უიმბლდონი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XLIII ტური

16.04	ბარნსლი — სანდერლენდი	2,9	2,8	2,3
17.04	ბირმინგემი — ვულვერჰემპტონი	2,0	2,8	3,5
	ბოლტონი — იფსვიჩი	2,3	2,8	2,9
	ბრედფორდი — ჰადერსფილდი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ქრიუ — უოტფორდი	2,5	2,9	2,5
	კრისტალ პალასი — სვინდონი	1,5	3,5	5,3
	გრიმსბი — ბერი	1,7	3,4	4,0
	ნორვიჩი — ტრანმერი	1,9	2,8	3,8
	პორტ ვეილი — ოქსფორდი	1,9	2,9	3,6
	შეფილდ იუნაიტედი — ქუინზ პარკი	1,7	3,2	4,2
	სტოკპორტი — ბრისტოლი	1,7	3,3	4,0
	ვესტ ბრომვიჩი — პორტსმუთი	1,7	3,3	4,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXIII ტური

17.04	ბოლონია — ფიორენტინა	2,4	2,8	2,7
	ლაციო — იუვენტუსი	1,7	2,8	5,3
	პარმა — სამპდორია	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
18.04	ბარი — სალერნიტანა	1,5	3,3	6,0
	ემპოლი — პიაჩენცა	2,5	2,9	2,5
	ინტერი — ვიჩენცა	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	პერუჯა — რომა	2,5	2,7	2,7
	ვენეცია — კალიარი	1,7	2,6	6,0
	უდინეზე — მილანი	2,4	2,7	2,8

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXX ტური

18.04	ბრეშა — რეჯინა	1,7	2,7	5,6
	ჩეზენა — ლეჩე	2,7	2,6	2,6
	კიევო — რავენა	2,0	2,7	3,6
	კოზენცა — ატალანტა	2,6	2,7	2,6
	ფ. ანდრია — ვერონა	2,8	2,7	2,4
	ჯენოა — ნაპოლი	2,4	2,7	2,8
	ლუკეზე — ტრევიზო	2,8	2,7	2,4
	მონცა — პესკარა	2,5	2,7	2,7
	ტერნანა — კრემონეზე	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ტორინო — რეჯანა	1,25	3,8	6,5

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXX ტური

17.04	ვალიადოლიდი — ატლეტიკო	2,4	2,8	2,7
	ბარსელონა — მალიორკა	1,7	2,8	5,3
18.04	ვილიარეალი — დეპორტივო	2,7	2,8	2,4
	ბილბაო — ტენერიფე	1,5	3,3	6,0
	ბეტისი — ოვიედო	1,8	2,8	4,4
	სარაგოსა — სოსიედადი	2,0	2,8	3,5
	რასინგი — ესპანიოლი	2,0	2,8	3,5
	ესტრემადურა — სალამანკა	1,8	2,8	4,4
	რეალი — ვალენსია	1,7	3,0	4,7
	სელტა — ალავესი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXIII ტური

17.04	ლეგანესი — ბარსელონა B	1,9	3,0	3,5
	კომპოსტელა — ლას პალმასი	2,1	2,8	3,3
	ლოგრონიესი — რაიო ვალეკანო	3,6	2,9	1,9
18.04	მალაგა — ოსასუნა	1,6	3,0	5,6
	ბადახოსი — ერკულესი	1,6	3,2	5,0
	მერიდა — ალბასეტე	1,5	3,3	6,0
	რეკრეატივო — ტოლედო	2,4	2,7	2,8
	ორენსე — ეიბარი	2,4	2,8	2,7
	სევილია — სპორტინგი (15[00])	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ნუმანსია — მალიორკა B	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ლეიდა — ატლეტიკო B	1,9	2,9	3,6

პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური

16.04	ბოავიშტა — აკადემიკა	1,1	6,0	12,0
	0:1	1,4	3,6	4,0
17.04	ფარენსე — ბეირა მარი	1,7	2,9	5,0
	ბრაგა — ბენფიკა	4,7	3,0	1,7
	გიმარაეში — ამადორა	2,3	2,9	2,8
	ალვერკა — სპორტინგი	4,7	3,0	1,7
18.04	ლეირია — შავეში	1,5	3,3	6,0
	მარიტიმუ — რიუ ავე	1,6	3,0	5,6
	სალგეირუში — სეტუბალი	2,1	2,8	3,3
	პორტუ — კამპომაიორენსე	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

ჰოლანდიის ჩემპიონატი

16.04	ვიტესი — ჰერენვენი	1,5	3,2	6,5
17.04	ალკმაარი — გრაფშხაპი	1,7	3,1	4,4
	მასტრიხტი — სპარტა	1,7	3,1	4,4
	ეინდჰოვენი — ნაიმეგენი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,3	3,2	3,2
	ტვენტე — კამბური	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
18.04	აიაქსი — სიტარდი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ბრედა — ფეიენოორდი	5,6	3,4	1,5
	უტრეხტი — ვალვაიკი	1,5	3,4	5,6

ბელგიის ჩემპიონატი. XXIX ტური

17.04	გენტი — ეკერენი	1,6	3,0	5,6
	სტანდარდი — სტ. ტრუიდენი	1,5	3,3	6,0
	ლიერსი — ანდერლეხტი	2,6	2,8	2,5
	ლოკერენი — ჰარელბეკი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	შარლერუა — მუსკრონი	3,4	2,9	2,0
	აალსტი — ბევერენი	1,6	3,2	5,0
18.04	გენკი — ბრიუგე	2,1	2,8	3,3
	ოსტენდე — ლომელი	2,3	2,8	2,9
	კორტრაიკი — ვესტერლო	2,0	3,0	3,3

პოლონეთის ჩემპიონატი. XXII ტური

17.04	კატოვიცე — ბელხატოვი	2,0	2,9	3,4
	რაძიონკოვი — რუხი	1,7	2,9	5,0
	ლეხი — ლკს	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ზაგლებე — პოგონი	1,8	2,9	4,2
	პოლონია — ოდრა	1,5	3,4	5,6
18.04	ვიძევი — ლეგია	1,9	2,8	3,8
	ამიცა — ვისლა (17[00])	4,0	3,0	1,8
	სტომილი — გურნიკი (15[00])	2,5	2,9	2,5

თურქეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური

16.04	ფენერბაჰჩე — ანთალია	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4
17.04	ერზურუმი — გაზიანთეფი	2,2	2,9	3,0
	ისთანბული — ალთაი	1,8	3,0	4,0
	ადანა — ბეშიქთაში	7,0	3,5	1,4
	სამსუნი — საქარია	1,6	3,0	5,6
	გენჩლერბირლიგი — ანკარაგიუჯიუ	1,8	2,9	4,2
	ქოჯაელი — ბურსა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	გალათასარაი — დარდანელი	1,1	6,0	12,0
	0:1	1,4	3,6	4,0

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური

17.04	აბერდინი — დანდი იუნაიტედი	1,7	2,9	5,0
	სელტიკი — მოზერველი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	დანფერმლაინი — კილმარნოკი	2,0	2,9	3,4
	სტ. ჯონსტონი — ჰარტსი	1,6	3,1	5,3
18.04	დანდი — რეინჯერსი	5,6	3,4	1,5

ავსტრიის ჩემპიონატი. XXIX ტური

17.04	რაპიდი — ლინცერი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	რიდი — ლუსტენაუ	1,5	3,3	6,0
	ზალცბურგი — ტიროლი	1,7	2,9	5,0
	შტაირი — გრაცერი	4,0	3,0	1,8
	შტურმი — აუსტრია	1,5	3,4	5,6

შვეიცარიის ჩემპიონატი. VII ტური

16.04	ლოზანა — გრასჰოპერი	1,9	2,8	3,8
17.04	ქსამაქსი — სერვეტი	3,1	2,8	2,2
	ციურიხი — ლუცერნი	1,8	2,8	4,4
18.04	ბაზელი — სტ. გალენი	1,9	2,7	4,0

რუსეთის ჩემპიონატი. III ტური

17.04	ზენიტი — ჩერნომორეცი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	სპარტაკი — შინიკი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	ცსკა — ურალანი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	როტორი — ალანია	1,7	2,9	5,0
	როსტსელმაში — კრილია სოვეტოვი	1,7	2,9	5,0
	ტორპედო — დინამო	2,6	2,7	2,6
	ნ. ნოვგოროდი — ლოკომოტივი	2,9	2,8	2,3
	სატურნი — ჟემჩუჟინა	1,9	2,8	3,8

შვედეთის ჩემპიონატი. II ტური

18.04	კალმარი — ტრელესბორგი	2,2	2,9	3,0
	ჰალმსტადი — ფრიოლუნდა	1,6	3,0	5,6
	ნორჩიოპინგი — იორგრიტე	1,5	3,4	5,6
19.04	გიოტებორგი — იურგარდენი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	იორებრო — ელფსბორგი	1,7	2,9	5,0

საფრანგეთის ლიგის თასის ნახევარფინალი

17.04	ლანსი — სოშო	1,25	4,4	8,0
18.04	მეცი — მონპელიე	1,9	2,9	3,6

ტურში გატანილი გოლები

გერმანია (მე-27)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
ინგლისი (34-ე)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
იტალია (29-ე)	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9
ესპანეთი (30-ე)	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
პორტუგალია (28-ე)	24 და ნაკლები	1,9	26 და მეტი	1,9
ბელგია (29-ე)	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
პოლონეთი (მე-22)	19 და ნაკლები	1,9	21 და მეტი	1,9

ჰოკეი. NHL

16.04	ნიუ ჯერსი — ფილადელფია	1,8	4,4	2,2
	ტამპა ბეი — კაროლინა	2,2	4,4	1,8
	ედმონტონი — კოლორადო	2,0	4,4	2,0
	სან ხოსე — ლოს ანჯელესი	1,5	4,4	3,0
17.04	ბოსტონი — ბუფალო	2,0	4,4	2,0
	მონრეალი — ტორონტო	2,0	4,4	2,0
	პიტსბურგი — აილენდერსი	1,2	4,4	5,0
	კაროლინა — ოტავა	2,0	4,4	2,0
	ფლორიდა — ტამპა ბეი	1,35	4,4	3,6
	ჩიკაგო — დეტროიტი	2,7	4,4	1,6
	ნეშვილი — ნიუ ჯერსი	2,7	4,4	1,6
	ედმონტონი — კალგარი	1,5	4,4	3,0
	ფინიქსი — დალასი	2,0	4,4	2,0
	სან ხოსე — ანაჰაიმი	1,8	4,4	2,2
18.04	ბუფალო — ვაშინგტონი	1,3	4,4	4,0
	რეინჯერსი — პიტსბურგი	2,2	4,4	1,8
	ფილადელფია — ბოსტონი	1,5	4,4	3,0
	კოლორადო — დალასი	1,9	4,4	2,1
	ლოს ანჯელესი — სტ. ლუისი	1,9	4,4	2,1

კალათბურთი. NBA

16.04	ფილადელფია — ინდიანა	1,8	12,0	1,6
	ვაშინგტონი — ჩიკაგო	1,15	12,0	4,0
	ტორონტო — კლივლენდი	1,5	12,0	2,0
	ატლანტა — ორლანდო	1,7	12,0	1,7
	ბოსტონი — მაიამი	2,8	12,0	1,3
	დეტროიტი — ნიუ იორკი	1,35	12,0	2,5
	მინესოტა — ვანკუვერი	1,05	12,0	7,5
	მილუოკი — შარლოტი	1,2	12,0	3,5
	სან ანტონიო — პორტლენდი	1,7	12,0	1,7
	ფინიქსი — დალასი	1,1	12,0	5,0
	გოლდენ სტეიტი — კლიპერსი	1,1	12,0	5,0
	სიეტლი — ნიუ ჯერსი	1,15	12,0	4,0
17.04	ნიუ იორკი — ტორონტო	1,2	12,0	3,5
	კლივლენდი — შარლოტი	1,3	12,0	2,8
	დალასი — პორტლენდი	4,0	12,0	1,15
	იუტა — ლეიკერსი	1,35	12,0	2,5
	საკრამენტო — დენვერი	1,15	12,0	4,0
18.04	ნიუ ჯერსი — ფილადელფია	2,8	12,0	1,3
	ვაშინგტონი — ბოსტონი	1,4	12,0	2,3
	ორლანდო — დეტროიტი	1,2	12,0	3,5
	მაიამი — ინდიანა	1,35	12,0	2,5
	ვანკუვერი — გოლდენ სტეიტი	2,5	12,0	1,35
	სან ანტონიო — ჰიუსტონი	1,35	12,0	2,5
	ფინიქსი —სიეტლი	1,4	12,0	2,3
	ჩიკაგო — მილუოკი	3,5	12,0	1,2
	მინესოტა — იუტა	2,0	12,0	1,5
	კლიპერსი — დენვერი	1,8	12,0	1,6
19.04	ფილადელფია — ნიუ იორკი	1,6	12,0	1,8
	ტორონტო — ორლანდო	3,1	12,0	1,25
	ნიუ ჯერსი — შარლოტი	1,7	12,0	1,7
	კლივლენდი — მაიამი	1,8	12,0	1,6
	ბოსტონი — ინდიანა	3,1	12,0	1,25
	ჰიუსტონი — სიეტლი	1,2	12,0	3,5
	კლიპერსი — საკრამენტო	3,1	12,0	1,25
	ლეიკერსი — ვანკუვერი	1,05	12,0	7,5

თესონელი იმ მაგრემბზე, რომლებიც 17 საათამდე იწყება, შესვლების დღეს მხოლოდ „ჯოჯოს" მთავარ ოფისში (თუბერკულოზის ქუჩა) მიიღება
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რეგულარული ჩემპიონატი

ანტირეკორდს სიეტლიც შესწვდა

14 აპრილი

სიეტლი 94:101 ფინიქსი

სიეტლი: პეიტონი (31), ჰოკინსი (12), შრემპფი (18), ბეიკერი (19), პოლინაისი; ელისი (6), კროტი (4), მაკკოი (4)
ფინიქსი: კიდი (30 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), ჩემპენი (8), გულიოტა (17), რობინსონი (18), კლინი (2 ქულა, 8 მოხსნა); მენინგი (19), მორისი (4), მაკლაუდი (3), ბრაუნი, გარიტი

ჩვენებურმა ვლადიმერ სტეფანიამ ზედიზედ მესამე შეხვედრა სათადრიგოთა სკამზე გაატარა ისე, რომ ერთი წუთიც არ უთამაშია და მისმა გუნდმა, რომელიც ამ სამ თამაშს მხოლოდ რვა კაცის მონაწილეობით ატარებს, მეორედ წააგო. ეს მაშინ, როცა თავდადება და გამარჯვებისთვის ბრძოლა ყველაზე უფრო ფინიქსთან იყო საჭირო, რადგან ეს ორი გუნდი ცხრილში ერთმანეთს მეზობლობენ და დივიზიონში მესამე ადგილისთვის იბრძვიან. ამ მარცხის შემდეგ სიეტლმა ეს მესამე ადგილი მძლეველს გადაულოცა. ამის გამო ან თუნდაც თავისი მწვრთნელის, პოლ ვესტფოლის გასახარად სიეტლს უნდა მოეგო ფინიქსისთვის. მით უმეტეს, რომ საკუთარ კედლებში თამაშობდა და მხარს 17 ათას კაცზე მეტი უჭერდა. თუმც ვესტფოლის შეგირდები მეტოქეს მარცხსღა გამორჩნენ და თავიანთ დამრიგებელს ერთიორად დასწყვიტეს გული. ერთიორად რადგან ვესტფოლს სიეტლამდე მხოლოდ ფინიქსში უმუშავია მთავარ მწვრთნელად არასრული ოთხი სეზონი და იქიდან 1996 წელს იმიტომ დააითხოვეს, რომ მისმა გუნდმა იმ სეზონის საწყისი 33 თამაშიდან 19 წააგო. ამიტომაც ვესტფოლს თავის ახლანდელ შეგირდთათვის უთქვამს, ახლა მაინც იყოჩაღეთ და სირცხვილი მეორედაც არ მაჭამოთო — სიეტლმა უკვე მოასწრო ფინიქსთან ამ სეზონში წაგება დაახლოებით იმავე ანგარიშით, რაც ახლა — 93:101 სტუმრად 4 მარტს და იმ თამაშში „სანზის“ ლიდერმა ჯეისონ კიდმა, რომელიც ლიგის გამთამაშებლებში გერი პეიტონს თუ ჩამორჩება, 19 პასი მიითვალა, რაც ამ სეზონში ვერავის მოუხერხებია. ამ შეხვედრაში კი კიდმა აქცენტი უფრო სროლებზე და ქულების დაგროვებაზე გააკეთა, და შედეგიც მოიმკო — 30 ქულა მისთვის ყველაზე მეტია სეზონში. მატჩი საკმაოდ დაძაბული იყო, მისი მშვენება კი — ლიგის ორი უძლიერესი გამთამაშებლის — სიეტლელი გერი პეიტონისა და ფინიქსელი ჯეისონ კიდის ორთაბრძოლა. ორივე ბრწყინავდა, თუმც თანაგუნდელებმა კიდს უფრო აუბეს მხარი და ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი. მატჩის შემდეგ ფინიქსელმა პეიტონის ქება არ დაიშურა: „გერი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა. იმედი მქონდა, იქნებ ამღამით არ ჯამოუვიდეს თამაში, ბევრი სროლა ააცილოს-მეთქი, მაგრამ... იგი სიეტლის ნახევარია და თავდადებული მეომარი“. პეიტონს მხარი ვერ აუბეს გუნდის მაღლებმა, რომელთაც ფარქვეშ საქმის მოგვარება ევალებათ და შედეგიც ისეთი მოიმკეს, საქვეყნოდ და საშვილიშვილოდ მოიჭრეს თავი. მთელმა „სუპერსონიქსმა“ სულ 19 ბურთის მოხსნა შეძლო და ამით კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყველა დროის ანტირეკორდის ავტორიც შეიქმნა.

დენვერი 120:97 ნიუ ჯერსი

დენვერი: მაკდაიესი (36 ქულა, 10 მოხსნა), ბილაფსი (26)
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (25), მარბერი (25 ქულა, 10 პასი)

ნიუ ჯერსი როცა ძლიერი გუნდი იყო, მაშინ უჭირდა დენვერში „მაკნიკოლს არენაში“ თამაში, სადაც ბოლო 13 შეხვედრიდან 12 წაეგო და მასპინძლებმა არც ახლა დაუტოვეს რაიმე შანსი. მაკდაიესს კარგად წაეხმარნენ ბილაფსი, ფორტსონი (18 ქულა, 17 მოხსნა) და ვან ექსელი (11 ქულა, 11 პასი) და დენვერმა სეზონში ყველაზე მეტი ქულის დაგროვება შეძლო ერთ მატჩში.

მილუოკი 98:86 მაიამი

მილუოკი: ალენი (31), რობინსონი (29)
მაიამი: მურნინგი (30 ქულა, 10 მოხსნა)

ჩემპიონ ჩიკაგოსთან ორი გამარჯვების შემდეგ „მაიამი ჰითი“ მშვენიერ გუნებაზე მყოფი ეწვია მილუოკის და ამის მიზეზიც ჰქონდა, რადგან იქ 1992 წლის ორ დეკემბერს აქეთ ერთხელაც არ წაეგო და „მილუოკი ბაქსი“ საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ზედიზედ 12-ჯერ გაემწარებინა. მაგრამ მილუოკი წლეულს აღმავლობის გზაზეა და ის გუნდი არ არის, შინ ვინმეს რაიმე იოლად დაუთმოს. მასპინძლებმა მშვენივრად ითამაშეს და ჰატ რაილის ბიჭები იოლად მოინელეს. „ჯერ არ მახსოვს, რომ რეის (ალენი) და გლენს (რობინსონი) ერთად ასე კარგად ეთამაშოთ“ — თქვა მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა, რომლის კლუბში მისვლის შემდეგ 90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდი ფეხზე დადგა და სასწაული უნდა მოხდეს, რომ პლეი ოფში ვერ ითამაშოს. ეს კი ამ ბოლო წლებში ერთობ ენატრებოდა.

ჰიუსტონი 102:85 ვანკუვერი

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (27 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (16), მასენბურგი (16)

უსუსურ ვანკუვერს უკვე პირველ ნახევარშივე ეტყობოდა, რომ ამ მატჩის გადამრჩენელი არ იყო. ჰაკიმ ოლაჯუონმა, ჰიუსტონის ბებერმა ლიდერმა, თავისი 27 ქულიდან ყველა პირველ ნახევარში ჩაუგდო უძლურ მეტოქეს და მეორეში საქმე სათადარიგოებს გადაულოცა, რომელთაგან ახალბედა ბრის დრიუ გამოირჩა. ამ ყმაწვილმა ხუთიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო და საბოლოოდ სეზონში მისთვის სარეკორდო, 18 ქულასაც მოუყარა თავი. აღსანიშნავია, რომ უხეირო მეტოქესთან ძალები დაზოგეს. გუნდის ლიდერებმა ჩარლზ ბარკლიმ და სკოტი პიპენმა შესბამისად 4 და 7 ქულა გააკეთეს — თავი არ მოუკლავთ, თან საქმესაც არა ავნეს.

სან ანტონიო 95:79 მინესოტა

სან ანტონიო: რობინსონი (21 ქულა, 15 მოხსნა), დანკანი (16 ქულა, 10 მოხსნა)
მინესოტა: ჯეკსონი (14)

პლეი ოფში ეს გუნდები სავარაუდოდ ერთმანეთის წინააღმდეგ წარსდგებიან და ამ მატჩში ორივემ მოინდომა თავისი სიძლიერის დამტკიცება. თუმც იმ დღეს მინესოტას ლიდერ კევინ გარნეტს სურდო შეეყარა და ამ ჯანმრთელმა ჭაბუკმა, რომელსაც ბოლო სამი წელი თამაში არ გამოუტოვებია, სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი, როგორ ჩაგრავდა სან ანტონიო მის გუნდს, რომელსაც გარნეტის გარდა კიდევ ერთი ლიდერი, ტრავმირებული ტერელ ბრენდონი აკლდა.

ჩიკაგო 81:89 კლივლენდი

ჩიკაგო: კუკოჩი (15 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)
კლივლენდი: კემპი (27)

„ჩიკაგო ბულზი“ თანდათან გამოდის იმ შოკიდან, რომელშიც მაიამი ჰითმა ჩააგდო რამდენიმე დღის წინ, როცა 82:49 მოუგო. შერცხვენილმა ჩემპიონებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს კლივლენდს, თუმც ამაოდ. ამას ძველი ჩიკაგოელი რონ ჰარპერი შეეწირა — ფარქვეშ ბრძოლისას მას სახეში ვიღაცის ხელი მოხვდა და ცხვირი ისე გაიტეხა, კარგა ხანს ვერ ითამაშებს.

ინდიანა 83:80 ორლანდო

ინდიანა: მილერი (21), დევისი (12 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება)
ორლანდო: ჰარდეევი (25 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი)

ეს ორივე გუნდი თავის დივიზიონს მყარად უდგას სათავეში და აღმოსავლეთში პირველობისთვის ერთმანეთს (და მაიამის) ებრძვის. ამიტომაც ამ შეხვედრაში თავი არ დაუზოგავთ. ინდიანელთა ლიდერმა რეჯი მილერმა მოედნიდან ცუდად ესროლა 14-დან 10 ააცილა, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან ივარგა 12-ვე სროლა ჩააგდო. მისმა თანაგუნდელმა დეილ ელისმა კი სეზონში ყველაზე მეტი, 16 მოხსნა გაიხერხა, რიკ სმიტმა კი სულ რვა ქულა მოაგროვა, მაგრამ ოთხი მას შემდეგ, რაც ანგარიში გათანაბრდა — 78:78. ორლანდოელ ნიკ ანდერსონს თავისიანთა გადარჩენის შანსი ჰქონდა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 9 წამით ადრე სამიანი ააცილა.

ფილადელფია 96:78 ტორონტო

ფილადელფია: ჰუგსი (22), აივერსონი (20)
ტორონტო: კრისტი (19)

ჯერ კიდევ შარშან ფილადელფიაცა და ტორონტოც თავიანთი დივიზიონის ფსკერს ხეხავდნენ, მაგრამ ახლა ორივე პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში ჩაბმულა და ჯერჯერობით ეს პირველს უკეთ გამოსდის. ტორონტომ ერთი ხანობა კი იბრძოლა, მაგრამ ამ წაგებით კიდევ უფრო ჩამორჩა მეტოქეს და სავარაუდოდ პლეი ოფში ვერ მოხვდება. თუმც შესაძლებელია, ფილადელფიამაც მისი ბედი გაიაზოს.

ბოსტონი 70:77 ატლანტა

ბოსტონი: მერსერი (19)
ატლანტა: მუტომბო (16 ქულა, 17 მოხსნა)

ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ ატლანტამ შეძლო ბოსტონში იქაური „სელტიქსის“ ძლევა ისე, რომ არ ჰყავდა სასტარტო ხუთეულის სამი მოთამაშე — სტივ სმიტი, ლაფოლსო ელისი და ალან ჰენდერსონი. მათ არყოფნაში ძირითადში მოხვედრილმა კრის კროუფორდმა 17 ქულის გაკეთებით კარიერის რეკორდი დაიმყარა და კარგადაც შეეშველა გუნდის ლიდერებს — დიკემბე მუტომბოსა და მუკი ბლეილოკს (12 ქულა)

შარლოტი 83:79 დეტროიტი

შარლოტი: ჯონსი (21), ფილზი (21)
დეტროიტი: ჰანტერი (20)

შარლოტმა ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო და კვლავ გაგრძელა პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლა, რომელიც გვიან კი წამოიწყო, მაგრამ დივიზიონის ფსკერს საკმაოდ ადვილად მოსწყდა. ამჟამად მას სამი მოგება აკლია, რომ გამარჯვებები წაგებებს გაუთანაბროს.

ვაშინგტონი 95:89 ნიუ იორკი

(ძირითადი დრო 84:84)

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (18 ქულა, 12 მოხსნა), ტორპი (18)
ნიუ იორკი: კემბი (18 ქულა, 13 მოხსნა)

ერთხანს დედაქალაქელებმაც დაიპირეს საპლეიოფო მარათონში ჩაბმა, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, თუმც ხანდახან კარგი გუნდების გამწარებას ახერხებენ. ნიუ იორკის ბეხრეკ ლიდერ პატრიკ იუინგს აქილევსის მყესი დაუზიანებია და თავისიანებს ვერაფერით შეეშველა. მასპინძლებმაც ამით ისარგებლეს და ოვერტაიმში სძლიეს სტუმრებს.

ირაკლი ფირამვილი



REUTERS მილუოკიდან

მილუოკი — მაიამი. მილუოკელი კრის გეტლინგი (№25) წაქცეულიც არ უთმობს ბურთს პი ჯეი ბრაუნს

ვილიამსი სამუდამოდ დაფასდა

AP ასტ რუზერფორდიდან

ეს მაისური ამიერიდან მხოლოდ ბაკ ვილიამსისაა

„ნიუ ჯერსი ნეთსმა“ კიდევ ერთი მუდმივი ნომერი გასცა. „52“-ნომრიანი მაისური სამუდამოდ გადაეცა ბაკ ვილიამსს. იგივე მაისური ისტ-რეზერფორდის „მიდოულენდზ არენაში“ (ნეთსი ამ დარბაზში თამაშობს) საპატიო ადგილას გამოფინეს.

ვილიამსი კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე იყო. 17-წლიანი კარიერის მანძილზე 16 784 ქულა და 13 017 მოხსნა დაგროვა. მას უთამაშია „ნიუ ჯერსი ნეთსში“, „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ და „ნიუ იორკ ნიქსში“. ვილიამსმა ამ სეზონის წინ დაანება კალათბურთს თავი.

ვილიამსი ლიგის ისტორიაში მეათე ადგილზეა მოხსნებში, ხოლო შარშან ამ მაჩვენებლით პირველი იყო მოქმედ მოთამაშეთა შორის. ბაკმა საწყისი რვა სეზონი „ნეთსში“ გაატარა. იგი ამ კლუბის რეკორდმენია ჩატარებული მატჩების რაოდენობით, ქულებით და მოხსნებით. ვილიამსი შვიდი სეზონი პორტლენდში იყო (1989-96) და ორჯერ ლიგის ფინალშიც მოხვდა (1990, 1992)

ბაკ ვილიამსი 1982 წელს ლიგის საუკეთესო ახალბედა გახდა. მას სამჯერ უთამაშია ოლ-სტარში.

აქამდე „ნიუ ჯერსი ნეთსის“ მუდმივ ნომრებს ფლობდნენ: დრაჟენ პეტროვიჩი (3), ვენდელ ლედნერი (4), ჯონ ვილიამსონი (23), ბილ მელჩიონი (25) და ჯულიუს ირვინგი (32). ახლა მათ ბაკ ვილიამსიც (52) მიემატათ.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
ორლანდო	28	11	71,8
მაიამი	25	12	67,6
ნიუ იორკი	21	18	53,8
ფილადელფია	20	18	52,6
ვაშინგტონი	15	23	39,5
ბოსტონი	14	24	36,8
ნიუ ჯერსი	10	28	26,3
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	26	13	66,7
მილუოკი	22	16	57,9
ატლანტა	23	17	57,5
დეტროიტი	22	17	56,4
კლივლენდი	20	18	52,6
ტორონტო	18	19	48,6
შარლოტი	17	20	45,9
ჩიკაგო	10	29	25,6

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა	29	8	78,4
სან ანტონიო	26	12	68,4
ჰიუსტონი	25	13	65,8
მინესოტა	21	18	53,8
დალასი	12	25	32,4
დენვერი	12	27	30,8
ვანკუვერი	7	32	17,9
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	29	8	78,4
ლოს-ანჯელესი	25	15	62,5
ფინიქსი	19	20	48,7
სიეტლი	18	19	48,6
საკრამენტო	17	21	44,7
გოლდენ სტეიტი	16	21	43,2
კლიპერსი	6	31	16,2



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბათუმელები წლეულსაც არაერთი ლელოთი და ჩემპიონობით ემუქრებიან მეტოქეებს

დათვებმა ნაკრებს ხელთათმანი ესროლეს

ეროვნული ჩემპიონატი აუცილებლად კი დაიწყება, მაგრამ ეგაა, არ ვიცით როდის. არც ის ვიცით, რამდენი გუნდი ჩაებმება პირველობაში. ზოგიერთ მათგანს ხომ ჯერაც ვერ მოუგვარებია ორგანიზაციულ-მატერიალური საკითხები, თუმცა, როგორც აცხადებენ, ამ პრობლემებს უახლოეს მომავალში მოევლება და ჩემპიონატის დაწყებასაც წინ ვეღარაფერი დაუდგება. რაკი ასეა, შევეცდებით, თითოეულ მონაწილეზე გარკვეული წარმოდგენა შეგიქმნათ.

ძნელად თუ მოიძებნება გუნდი, რომელიც ჩამოყალიბებისთანავე აღწევს ღირებულ წარმატებას. ერთ-ერთი მათგანი ბათუმის „დათვებია“. 1998 წლის დასაწყისში ჩამოყალიბებულმა კლუბმა იმავე წელს საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიგო. ტყუილად ხომ არ უთქვამთ, მადა ჭამაში მოდისო — ბათუმელები წლევანდელ გათამაშებაში ოქრის უმიზნებენ. მით უმეტეს, სხვებთან შედარებით ფინანსურად უფრო ღონივრად არიან.

კლუბის ტექნიკურ დირექტორ **მერაბ დანელიასთან** ეს საუბარიც შარშანდელი სეზონის შეფასებით და სამომავლო გეგმებზე საუბრით დაიწყო...

— შარშანდელი შედეგით ნამდვილად კმაყოფილები ვართ. 1998 წელს ჩამოყალიბებული გუნდისთვის იმავე წელს ქვეყნის პირველობაზე მეორე ადგილის დაკავება ურიგო ნამდვილად არ არის, თუმცა ამაზე არ გავჩერდებით და წლეულს შევეცდებით, ჩემპიონები გავხდეთ. გუნდი ისეა დაკომპლექტებული, რომ მასში შერწყმულია ახალგაზრდების ენერგია და „ბებრების“ გამოცდილება.

— შარშანდელ სეზონთან შედარებით გუნდში, ალბათ, ცვლილებებიცაა...

— სამმა მორაგბემ დაგვტოვა: სანებლიძემ და ბალანჩივაძემ „აიას“ მიაშურეს, პაპავა კი „ყოჩებში“ გადავიდა. სამაგიეროდ, შვიდი მობურთალი დავიმატეთ. გელა ფირცხალავამ, ნიკო აბდალაძემ და პაატა ძოწენიძემ შარშანდელი სეზონი მოსკოვის „ფილიში“ გაატარეს. „ყოჩებიდან“ კახა მარგიანიძე შეგვემატა. წლეულს ჩვენთან იქნებიან ზურაბ რეხვიაშვილი, ემზარ გეგუჩიძე და ნუგზარ ძაგნიძე. სულ გუნდში ამჟამად 33 მორაგბე ვარჯიშობს.

— შარშან ზოგი მწვრთნელი უკმაყოფილო იყო მსჯობის დონით. თქვენ?

— მსჯობით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვართ. არბიტრებთან პრეტენზია არ გვაქვს. უნებლიე შეცდომა ყველას მოსდის, ბოლოს და ბოლოს, მსაჯიც ხომ ადამიანია.

— არაერთი სპეციალისტის აზრით, გუნდი მოძველებული, ტრადიციული სტილით თამაშობს...

— ზოგი შეიძლება ასეც ფიქრობს, ჩვენ კი იმას ვიტყვით, რომ თუ ასეთი სტილი ამართლებს, იყოს ძველი.

— შარშან ძაგნიძის არყოფნაში გუნდს ჯარიმების დამრტყმელი არ ჰყავდა.

— დიახ, ამან რამდენიმე თამაშის შედეგზე მოახდინა გავლენა, თუმცა წლეულს ეს პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილია. გუნდში სამი უმაღლესი კლასის დამრტყმელია: ძმები ძაგნიძეები და მაჩიტიძე.

— წლევანდელი პირველობისთვის როგორ მოემზადეთ?

— თებერვლის დამდეგს გუნდი ბათუმში შეიკრიბა. ბიჭებმა საერთო ფიზიკური მომზადება ძალოსანთა დარბაზში და „დინამოს“ სტადიონზე გაიარეს. შემდეგ, 30 მარტამდე ჩაქვში ვიყავით, სასტუმრო „ოაზისში“. ყველა პირობა გვქონდა ნორმალური ვარჯიშისთვის.

— ჩვენში ნაკრებსაც ენატრება სავარჯიშო ბაზა. თქვენ უკეთეს მდგომარეობაში ხართ...

— „ანგისას“ სპორტულ კომპლექსში ორი მოედანია. პირობები დამაკმაყოფილებელია, არის აბანო. ორივე მოედანი ნორმალურ მდგომარეობაშია. გათვალისწინებულია რაგბის სპეციალიზებული სტადიონის და სპორტული ბაზის მშენებლობა. პროექტი უკვე შედგენილია და სამუშაოები, ალბათ, ამ ზაფხულშივე დაიწყება.

— დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე დაბალია და მოთამაშეთა მიგრაციაც იზრდება. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ მორაგბეებს უცხოეთში წასვლა გადავაფიქრებინოთ და პირველობის დონე ავამაღლოთ?

— უპირველესად, მოთამაშეს ნორმალური სავარჯიშო პირობები უნდა შევუქმნათ. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ყველა საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრობს. თუმცა ეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მოთამაშესაც ჰყავს ოჯახი და ამ ოჯახს რჩენა უნდა. ამიტომაც ის ცდილობს, სადაც მეტს გადაუხდიან, იქ ითამაშოს. დღესდღეობით კი უცხოეთში ბევრად მაღალი ხელფასია, ვიდრე ჩვენთან. რაც შეეხება ჩემპიონატის დონის ამაღლებას, ჩემი პოზიცია ასეთია: უნდა განივრცოს რაგბის გავრცელების არეალი. თუ პირველობაზე ათი გუნდი იასპარეზებს, როგორც რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა გეგმავს, ეს მხოლოდ წაადგება ქართულ რაგბის. მაგრამ თუ ზოგიერთებმა ფინანსური პრობლემები ვერ მოაგვარეს, მაშინ სჯობს, ისევ ექვსმა გუნდმა ვითამაშოთ. თბილისში ისე გულიანად რომ მიუდგნენ საქმეს, როგორც ამას ბათუმში აკეთებენ, ჩემპიონატის დონეც ამაღლდება და ინტერესიც გაიზრდება.

— ჩვენს ნაკრებზეც ვთქვათ...

— ბათუმიდან მითითებებს ვერც რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს მივცემთ და ვერც ნაკრების მწვრთნელებს, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ ჩვენი გუნდი მზადაა, ამხანაგურად ეთამაშოს ნაკრებს. შედეგი დაგვანახებს, რამდენად ძლიერადაა დაკომპლექტებული ნაკრები. ამ მატჩის ორგანიზებასაც ჩვენ ვკისრულობთ. რაც შეეხება იმას, რომ ნაკრებში მხოლოდ ერთი ბათუმელი — აშვეთია იყო მიწვეული, ეს მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა. მან უკეთ იცის, ვინ სჭირდება ამ ეტაპზე ნაკრებს, მაგრამ არ შეიძლება, ეროვნული გუნდი მხოლოდ თბილისელი მოთამაშეებით იყოს დაკომპლექტებული, მითუმეტეს, ჩვენ ვერცხლის პრიზიორები ვართ.

ბაჩო სვანიძე

აპოკალიფსი დღეს

ბარსელონა, ესპანეთი. OPEN SEAT GODO. თიხნარი. საპრიზო 825 ათასი $

მამაკაც ჩოგბურთელთა ელიტა სადღეისოდ შავ დღეშია — მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის მებრძოლ ხუთექვს მოთამაშეს, რიჩარდ კრაიჩეკის გამოკლებით, ლამისაა, მოგებაც სანატრელად გახდომია.

თავად განსაჯეთ: პიტ სამპრასი სეზონის პირველი სამი თვის მანძილზე ფინალში არსად გასულა, პატრიკ რაფტერი — მეოთხედფინალში; კარლოს მოიას შარშანდელი როლან გაროსის შემდეგ ტურნირი არ მოუგია, ევგენი კაფელნიკოვს — თებერვლის შემდეგ მატჩი; ალექს კორეტხა წარუმატებელი სერიის გამო სულაც დეპრესიაშია ჩავარდნილი.

ბარსელონის ტურნირმა ამათ იარებს ბლომად მარილი დაუმატა.

პიტ სამპრასი კატალონიის დედაქალაქის შესანიშნავ ხასიათზე და დიდი გეგმებით ეწვია: „წლეულს ბევრი მატჩი არ გამიმართავს და თამაში მწყურია. შევეცდები, თიხნარზე თამაშს ალღო ავუღო და როლან გაროსისთვის რაც შეიძლება კარგად მოვემზადო“.

პიტი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა — სამშაბათს ტიმ ჰენმანთან შეწყვილებულმა ამერიკელმა ევგენი კაფელნიკოვისა და პოლ ჰაარჰიუსის დუეტთან მატჩიც წააგო და თან ძველი ზურგის ტრავმაც გაირთულა. საქმეს არც მასაჟმა და არც ცხელმა აბაზანებმა უშველა — მეორე დღეს სამპრასმა ერთეულებში თამაშზეც უარი განაცხადა. „ყველაფერი ჩემი ბრალია. საღამოს ძალიან ციოდა, მე კი მატჩამდე წესიერად არ გავხურდი. ახლა 7-10 დღე უნდა დავისვენო, სანამ ვარჯიშს განვაახლებდე — აღნიშნა პიტმა, რომელსაც ტრავმის გამო მონტე კარლოს ღია პირველობა გაუცდება და შეიძლება კლასიფიკაციის პირველი ადგილიც დაკარგოს — რა თქმა უნდა, ძალიან იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ სეზონში კიდევ ბევრი ტურნირია და მეც იმედს არ ვკარგავ“.



REUTERS ბარსელონიდან

პიტ სამპრასი

სამპრასს არც ევგენი კაფელნიკოვი (3) ჩამორჩა. 25 წლის რუსმა, რომელსაც ATP ტურზე ლონდონის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ ზედიზედ ოთხი მარცხი ჰქონდა ანგარიშზე, საკუთარ თავს არც ბარსელონაში უღალატა და არგენტინელ ფრანკო სკილარისთან წააგო 2:6, 4:6. მატჩის გადარჩენის შანსი ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონს ერთადერთხელ მიეცა, როდესაც 4:5-ზე მეტოქის მოწოდებაზე 40:0-ით დაწინაურდა, მაგრამ ყველა შესაძლებლობა ასევე სწრაფად გამოეცალა ხელიდან.

ყველაზე მეტად კი ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონ ალექს კორეხტას (4) უჭირს. ესპანელმა თავის მშობლიურ ქალაქში მეორე წრეში (პირველიდან რვა განთესილი განთავისუფლებული იყო) სატელიტების უგვირგვინო მეფეს, მროკოელ იუნეს ელ აინაუის ვერაფერი მოუხერხა და თავისიანთა მხარდაჭერის მიუხედავად 6:7 (3:7), 3:6 წააგო.

„ამ წუთისთვის არც რაიმე იმედი მაქვს და არც სტიმული. ცოტა ხნით სპორტიდან უნდა დავისვენო, რომ ჩოგბურთი სამუდამოდ არ შემძულდეს. ამ კვირაში მწვრთნელთან მოვითათბირებ და გადავწყვეტ, მონტე კარლოში ვითამაშო, თუ არა“ — კორეხტას ნათქვამს კომენტარი ნამდვილად არ სჭირდება.

ესპანელის განწყობამ ზოგიერთს სპორტიდან სამუდამოდ წასვლის შესახებაც კი აღუძრა ეჭვები, თუმცა საქმე აქამდე, ჯერჯერობით მაინც, არ მისულა: „თითქმის ყველაფერს ჩოგბურთს ვუმადლი და მწამს, ამ მძიმე პერიოდს, ადრე თუ გვიან, თავს დავაღწევ. შეიძლება უბრალოდ ახალი მიზნები, სტიმული მჭირდება. თუ თავად არ გაქვს სურვილი, ვერაფერს მიაღწევ“.

ერთადერთი, ვინც მეორე წრის შემდეგ მთავარ ფავორიტთა ბედი არ გაიზიარა, კარლოს მოიაა (2), თუმცა მასაც თავისი სატკივარი აქვს: გასულ კვირაში 22 წლის მალორკელს მადრასის ტურნირიდან ცერა თითზე გაჩენილი კოჟრის გამო მოუხდა აბარგება და სავსებით შესაძლებელია, იგივე ბარსელონაშიც განმეორდეს.



REUTERS ბარსელონიდან

ალექს კორეტხა

„მოწოდებებისა და დარტყმების დროს თითი ისევ მაწუხებს. ექიმს გავესინჯები და მხოლოდ მერე გადავწყვეტ ვითამაშებ თუ არა ხვალ. ეს მე ძალიან მინდა, მაგრამ ასეთი ტკივილებით ასპარეზობის გაგრძელება სისულელეა“ — განაცხადა ესპანელმა პრესკონფერენციაზე.

მოიას მეორე წრეში კლასიფიკაციით 175-ე თანამემამულე გერმან პუენტესთანაც კი ძალიან გაუჭირდა და კორტზეც ისეთი დამმარებული სახით დაიარებოდა, თითქოს ეს-ესაა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანესო. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მეორე სეტი დიდი წინააღმდეგობის გარეშე დათმო და მესამის დასაწყისში ექიმის დახმარება ითხოვა. მრავალტანჯული ცერის შეხვევის შემდეგ კარლოსმა თამაში გააგრძელა, მაგრამ მეტოქის გამოცდელობა რომ არა (პუენტესს კარიერაში ერთადერთი მატჩი ჰქონდა მოგებული ATP ტურზე), იქნებ შედეგი სულ სხვანაირი ყოფილიყო. 6:3, 4:6, 6:3 მოიას სასარგებლოდ.

მეორე წრე: ტიმ ჰენმანი (5, ინგლისი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 7:6 (7:1), 6:7 (3:7), 7:5; ტოდ მარტინი (6, აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:5); რენცო ფურლანი (იტალია) — მარკ ფილიპუსისი (7, ავსტრალია) 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:5); მარსელო რიოსი (8, ჩილე) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 3:6, 6:3, 6:2; ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:1; ფელიძს მანტია (10, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:2; ტომი რობრედო (ესპანეთი) — მარატ საფინი (12, რუსეთი) 1:6, 6:4, 6:4

ტოკიო. იაპონიის ღია პირველობა. ჰარდი, დარბაზი. საპრიზო 700 ათასი $

ვარსკვლავების მხრივ იაპონიის ღია პირველობა არანაკლებ დაზარალდა. ტოკიოში, წესით, მსოფლიოს ორ ყოფილ პირველ ჩოგანს, ანდრე აგასისა და ბორის ბეკერს უნდა ეასპარეზა, მაგრამ გასული კვირის ჰონკონგის ტურნირის ფინალისტებმა მასპინძლები ბოლო მომენტში დააღლატეს — აგასიმ მხრის ტრავმა მოიმიზეზა, ბეკერმა კი რაღაც გაუკვეველი პირადი პრობლემები.

ტოკიოში თავი ვერც აზიის ყველაზე პოპულარულმა სპორტსმენმა მაიკლ ჩანგმა გამოიჩინა. ჩინური წარმოშობის ამერიკელის პირველი წრის მატჩს იაპონიის პრინცი აკიშინო და პრინცესა კიკო დაესწრნენ და მანაც ყველასთვის უცნობ მაიკლ ჰილს დიდი გაჭირვებით აჯობა 7:6 (7:5), 6:7 (5:7), 7:6 (7:4), თუმცა მომდევნო წრეში იმპერატორული მხარდაჭერის გარეშე მოთამაშე ჩანგს უკვე აღარაფერმა უშველა.

ერთ დროს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ახლა კი კლასიფიკაციაში მე-40 ადგილზე დაქვეითებულმა ამერიკელმა გერმანელ იენს კნიპშილდთან წააგო 3:6, 4:6 და ერთხელაც დაიწუწუნა: „ძალიან მიჭირს ძველი დონის მიღწევა. ერთადერთი, რაც შემიძლია, ვარჯიშის გაგრძელება და იმის იმედზე ყოფნაა, რომ ჩემი სხეული და გონება ჩაბარებს ამ გამოცდას. ახლა შინ დავბრუნდები და იქნებ თიხნარის სეზონი მაინც ჩავატარო უკეთ“.

სამაგიეროდ, ტურნირზე პირველად განთესილმა რიჩარდ კრაიჩეკმა მერვედფინალში ზედმეტი ოფლის დაღვრელად გააღწია: ჰოლანდიელ იონ ვან ლოტუმს 1:3-ზე ხელი წამოსტკივდა და სახელოვან თანამემამულეს გზა უბრძოლველად გადაულოცა.

მეორე წრე: ტომას ენკვისტი (3, შვედეთი) — რადეკ სტეპანეკი (სლოვაკეთი) 7:6 (7:1), 6:4; ტომას იოჰანსონი (4, შვედეთი) — ჰიდეკი კანეკო (იაპონია) 6:3, 6:3; ნიკოლას კიფერი (5, გერმანია) — პარადომ შრიჩიპანი (ტაილანდი) 6:2, 6:3; უეინ ფერერა (7, სამხრეთ აფრიკა) — დენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 7:6 (7:2), 6:3; იონას ბიორკმანი (8, შვედეთი) — ლორენს ტილმანი (იტალია) 6:3, 6:3;

ავთანდილ სვანიძე

სამარანჩის მხევალი ვაშინგტონში ამხილეს

წადი, შორს წადი...

ფული, მუსიკა და ლექსი ძია სემისა

REUTERS ვაშინგტონიდან

სამარანჩისგან გამეტებული ანიტა დეფრანცი

არ მახსოვს, როდის, და არ მახსოვს, ვინ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს და ერთმა ძლიერმა მამაკაცმა, მთელი დედამიწა ამერიკის შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ გამოაცხადა. ერთადერთი, რაც სრული უეჭველობით ვიცი, ისაა, რომ ამგვარი კადნიერი განაცხადი მხოლოდ მას შემდეგ გაკეთდა, რაც პლანეტის ფინანსური ძარღვები ამერიკული დოლარებით გაივსო და აშშ-ს თავისი ვინგინდავინ მოქალაქის ინტერესების დაცვა ამ ფინანსური სისტემის რაგინდარა მონაკვეთზე მოუხდა. ცოტა სხვანაირად რომ ვთქვათ, დედამიწა აშშ-ს სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ მაშინ გამოცხადდა, როცა იგი ამერიკელი მოქალაქეების სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ იქცა.

ჩვენ გვაინტერესებს, თუ რატომ არიან ამერიკელები ასე ცხოვლად დაინტერესებულნი იმით, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მსოფლიოში ღირსეული, პატიოსანი და ამაგდარი ორგანიზაციის სახელი უფრო ჰქონდეს, ვიდრე კორუმპირებული, ძირგამთალი და ბაცაცა კანტორისა? პასუხი უაღრესად მარტივია: ეს აშშ-ს სასიცოცხლო ინტერესებში შედის იმიტომ, რომ სოკ-ის უდიდესი და უმდიდრესი სპონსორები, რომელთა საფირმო ნიშნებთანაც მოუცილებლად არის დაკავშირებული ოლიმპიური ხუთრგოლა ემბლემა, ლამის უკლებლივ ამერიკული კომპანიები არიან. საკუთარი ბიზნესმენების ფულსა და იმიჯს კი, სად-სად და, აშშ-ში ისევე აფასებენ, როგორც დემოკრატიას, ფედერალიზმსა და სიტყვის თავისუფლებას.

ხოლო ამ მოკრძალებულ შესავალს მეტი დამაჯერებლობა რომ შევმატოთ, ბარემ სპონსორთა ვინაობასაც გაგაცნობთ. ესენი „კოდაკი“, „იუნაიტედ ფარსელ სერვისი“, „კოკა კოლა“, „ქსეროქსი“ და „ჯენერალ ელექტრიკ კომპანის“ კუთვნილი ტელევეშაპი, ენბისი არიან. და თუ კალიფორნიელი კონგრესმენის ჰენრი უოქსმენის მიერ გუშინ, სენატის კომერციის კომიტეტის საგანგებო თავშეყრაზე წარმოთქმულ სიტყვებს გავიმეორებთ, „სოკ-ი უბრალოდ არაფერს წარმოადგენს ამერიკული ფულის გარეშე“. მუსიკას კი, მოგეხსენებათ სწორედ ის უკვეთავს, ვისაც ჯიბეში ფული უჭყავის, მკერდში კიდე — პატრიოტული გული...

კომერციის კომიტეტი კი „სოლტ ლეიკ-2002-ის“ სამექრთამეო სკანდალზე სამსჯელოდ შეიკრიბა. მსჯელობას, სხვათა შორის, თავად სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ ბებერმა ხელისუფალმა „მგლის ბუნაგში“ ჩასვლას თავისი მოადგილის ანიტა დეფრანცის წარგზავნა არჩია და, როგორც გაირკვა, არც თუ ძალიან შემცდარა — სენატორებმა თავისთავადაც მაგარ-მაგრები ილაპარაკეს და კდემამოსილ ანიტასაც მრავალი და შეუფერებელი აკადრეს!

რაღა ბევრი მივკიბ-მოვკიბოთ და, ამერიკელი კანონმდებლები სოკ-ში არსებული მურდალი ვითარებითა და ამ ვითარებიდან გამოსავლის ძიების სოკური ტემპ-ხერხებით ფრიად უკმაყოფილონი ბრძანდებიან. თუო — ამბობენ ისინი — კომიტეტი საფუძვლიან, დედა-ბუდიან და ყირამალა რეფორმებს არ განახორციელებს, საქმეს ისე გავუხდით, სულ ვაი-დედა ვაძახებინოთო. „ვაი-დედის ძახებინება“ კი იქ ყველას თავისებურად წარმოუდგენია. მისურელი რესპუბლიკელი, ჯონ ეშკროფტი, მაგალითად, სოკ-ზე აშშ-ს ანტისაქრთამო კანონმდებლობის გავრცელებას მოითხოვს მთელი თავისი ქვემდებარე მიხვრა-მოხვრებით, მისი მავანი კოლეგა კი სოკ-ის ამერიკელი სპონსორებისათვის, მათივე კეთილდღეობაზე ზრუნვის მიზნით, „გადასახადებზე ოლიმპიური პრივილეგიების“ ჩამორთმევას ემხრობა (იმ ლოგიკით, რომ სპონსორები თავიანთი ფულის უფრო მომგებიანად და ღირსეულად დაბანდების ადგილს მოსძებნიან და ამით თავის თავსაც არგებენ და სოკ-საც ავნებენ).

სენატორთა ნაწილი საქმეზე უფრო მკვახედ მსჯელობს. მათი აზრით, არაფერს არ ეშველება, სანამ ხუან ანტონიო სამარანჩს თავისი საკარიერო უკავია. ამგვარად მეფეტალია ულლისკვეთება ეუშინ ყველაზე ნათლად სამხრეთ ტრიალ ელენ დემოკრატმა ერნსტ ჰოლინგზმა გამოთქვა: „რატომ პირდაპირ არ ვიტყვით, რომ ეგ ბიჭი უნდა წაეთრეს!“, - აი, ასეთი იყო მისტერ ჰოლინგზის როყიი აზრი.

თუმცა სენატში თავმოყრილთა უმეტესობა მაინც სენატორ ჯორჯ მიჩელის ზომიერ პოზიციას იწონებს. არადა, ზომიერი ამას მხოლოდ ჰქვია, თორემ ისე მთლიან ანტისოკურ კომპლექტს შეიცავს. ეგებ გახსოვდეთ — ეს ის ჯორჯ მიჩელია, „სოლტ ლეიკის სკანდალს“ საგანგებოდ რომ იკვლევდა და 1 მარტს სოკ-ის ძირეული გარდაქმნების ცნობილი მოთხოვნებითაც რომ გამოვიდა. ჰოდა, რამდენადაც აღნიშნული თარიღის შემდეგ მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში ბევრი არაფერი გაკეთებულა, მისი ეს მოთხოვნები ახლაც სერიოზულ ძალაშია. ერთი ეგაა, რომ მიჩელი სამარანჩისათვის იანვრამდე დროვებას ითხოვს და აცხადებს, რომ ახლა წიხლის დაჭერას მხოლოდ საქმის გაფუჭება უფრო შეუძლია.

ლევან კელაურიძე

REUTERS ვაშინგტონიდან

სენატორები ჯონ მაკკეინი (მარცხნივ) და ჯორჯ მიჩელი: შევთანხმდეთ, სამარანჩი უნდა წავიდეს

უიღბლო და უჭკუო კაცის ოცნება



სარბიელის არქივიდან

ჰარი „ბაჩ“ რეინოლდსი

ამერიკელმა მორბენალმა 400 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენმა, ჰარი „ბაჩ“ რეინოლდსმა სეზონი უიღბლოდ და, მისივე თქმისა არ იყოს, უჭკუოდ დაიწყო. უიღბლოდ იმიტომ, რომ სამხრეთ აფრიკის, ინგლისისა და მსოფლიოს ნაკრების ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობისას, რომელიც პრეტორიაში გაიმართა, მარჯვენა ფეხის კუნთმა ზედ ფინიშის სწორზე უმუხთლა, ხოლო უჭკუოდ იმიტომ, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩასვლამდე ხეირიანად არსად გახურებულიყო და არცთუ პრეტორიულ ბილიკებზე ნამეტანი თავის მოკვლა ერგებოდა.

მაგრამ, ასეთი წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, ბაჩი მთელი სეზონის განმავლობაში უმაღლეს დონეზე სირბილით იმუქრება და სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლასაც გეგმავს. თუმცა ამ გზაზე, საკუთარი უიღბლობისა და უჭკუობის გარდა, რეინოლდსს თანამემამულეთა ხისტი მეტოქეობის გადალახვა მოუწევს. ეს მეტოქეობა „აშშ ტრეკ-დაველის“ პირველობაზე, 24-27 ივნისს

სარბიელის არქივიდან

რეინოლდსი (მარცხნივ) 4X400 მეტრზე ესტაფეტაში ამერიკელთა გუნდში მოხვედრაზეც ოცნებობს

შედგება და სევილიის საგზურებს იქ პირველ-მესამე ადგილებზე გასული ათლეტები მიიღებენ.

„ჰოდა, მივიღებ კიდეც... რომ იცოდეთ, როგორ მინდა სევილიაში მოგება. მერე კი — მერე სიდნეის საგაისო ოლიმპიადაზეც ვიფიქრებ. თუ იქაც ვივარგე და იქაც, სპორტიდან წასვლა სინდისის უქენჯნელად შემეძლება“ — ამბობს ბაჩი და სეულის 1988 წლის სვედიან ოლიმპიადას იგონებს, სადაც უეჭველად მოსაგები ოქრო ბოლო მეტრებზე ჭაბუკ თანამემამულეს, სტივ ლუისს დაუთმო.

და კიდევ — ოცნებაგაუმაძღარ რეინოლდს 4X400 მ-ზე ესტაფეტაში მონაწილეობაც ეიმედება: „ეგ სფერო ჩვენ, ამერიკელებს გვეკუთვნის და ასი წელი არავის დავუთმობთ... რატომ? იმიტომ, რომ ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა გვაქვს. განა სეულში ეგრე არ იყო — მე და ლუისმა ჯერ 400 მ-ზე დავბრდღვენით ერთმანეთი, მერე კი საესტაფეტოდ გავერთიანდით და გუნდური ოქროც კაცურად გავიყავით“.

მოდი, ვნახოთ სვეტას...

შარდო, საიდან მოდიხარ

როცა მაებაშის ერთი თვის წინანდელ ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბირთვის კვრაში გამარჯვებულ უკრაინელ ქალს ვიტა პავლიჩს შარდში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს, 24 წლის რუსმა ირინა კორჟანენკომ ალალად გაიხარა — მისმა ვერცხლის მედალმა ხომ ავტომატურად იცვალა ფერი.

მაგრამ რად გინდა, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ირას შარდიც ისეთივე ამღვრეული ყოფილა, როგორიც მისი უკრაინელი მეტოქისა. ჰოდა, რაღაიდა ეს ფაქტი უკვე რუსთა სამძლეოსნო ფედერაციამაც დაადასტურა, ირა ვიტას ორწლიან დისკვალიფიკაციას შეუერთდება. თავის გაყვითლებულ ვერცხლს კი ბრინჯაოსმედალოსან თანამემამულეს, სვეტლანა კრიველიოვას დაუთმობს. სვეტას შარდის ავ-კარგიანობის ამბავს ალბათ უახლოეს დღეებში შევიტყობთ...

ჩეჰჩუმბაა თუ ვიღაც ოხერი

ლონდონის საამკვირაღლეო მარათონის ქალთა ბილიკი ერთბაშად რამდენსამე გამოჩენილ სახელს მოისაკლისებს. იქაურ მოსიერეთათვის სიამოვნების მინიჭებას ისეთი ოსტატები ვერ შეძლებენ, შარშანდელი გამარჯვებული ქეთრინ მაკკირნანი, სამი წლის წინანდელი მოზეიმე ლიზ მაკკოლგანი და ამჟამინდელ ფავორიტად მიჩნეული, ათი ათას მეტრზე ოლიმპიური ჩემპიონი, პორტუგალიელი ფერნანდა რიბეირო რომ არიან. მაკკირნანს აქილევსის მყესი აქვს დაფლეთილი, ლიზი ფეხმძიმეა და ჰა-ჰა, ორგზის დედა გახდება, მშვენიერი ფერნანდა კი მარჯვენა მუხლს უჩივის და — ახლა თუ არ დავისვენე, სევილიის აგვისტოში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატსაც მოვაკლდებიო — ასე ამბობს.

მოკლედ, ქალთა ფრონტზე დიდი შეთხელებაა და ამით ყველაზე მეტად კენიელი ჯოის ჩეჰჩუმბა ხარობს. ჯიშიან ჯოისს თუმცა ლონდონში სამი წლის წინ მეორე ადგილი დაუკავებია, ხოლო 1997-ში ფინიშთან სულაც პირველი მისულა, მაგრამ რიბეიროსა და მაკკირნან-მაკკოლგანის დუეტთან გაჯიბრება დიდად არაფრად ეპიტნავებოდა და ახლა ჩინებულ გუნება-განწყობილებაზეა.

მის ოპტიმისტურ მოლოდინს ვერც სამხრეთაფრიკელ ელანა მაიერის ღრენა აკრთობს. არადა, ელანა, რომლის ანგარიშზე ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის ათი ათას მეტრიან ბილიკზე მოგებული ვერცხლის მედალი და სხვა უმნიშვნელო რამე-რუმეები ირიცხება, მარათონის უსათუოდ მოგებას იქადნის და — ჩეჰჩუმბაა თუ ვიღაც ოხერი, მე არ ვიცი, აი, ეგეთ რამეებსაც ამბობს.

ლევან კელაურაძე

დაუსრულებელი კარიერის ბრწყინვალება

თითქმის დეტექტიური ისტორია

რევაზ ცირეკიძე



დაიბადა 1934 წლის 28 მარტს.

საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი. მელბურნის ოლიმპიადის მონაწილე.

პირველი საბჭოთა მოფარიკავე, რომელიც „ეროვნებათა თასის“ ვიცე-ჩემპიონი გახდა 1956 წელს. პირველი საბჭოთა დაშნით მოფარიკავე, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა 1957 წელს.



მახსოვს, ბავშვი რომ ვიყავი, ჩვენს ეზოში ერთი წარმოსადეგი, ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. „ეს რევაზ ცირეკიძეა, სახელგანთქმული მოფარიკავე“ — თქვა ერთმა „დიდმა ბიჭმა“. „მგარი იყო?“ — ჰკითხა მეორემ „ძალიან მგარი. მგრამ ადრე დანება ფარიკაობას თავი“. „რატომ?“ — იკითხეს ცნობისმოყვარეებმა. „არ ვიცი“ — უპასუხა გათვითცნობიერებულმა. მაშინ რას წარმოიდგენდით, რომ ამის მიზეზი თავად რევაზ ცირეკიძისთვისაც კი საიდუმლოებით იყო მოცული...

— ჩვენ ქუთაისიდან ვართ — მოგვითხრობს რევაზ ცირეკიძე — ომის შემდგომ, 1947 წელს გადმოვედით საცხოვრებლად თბილისში. მამაჩემი, პროფესიით ეკონომისტი, ძალიან მკაცრი კაცი იყო და სპორტსმენებს უსაქმურ ხალხად თვლიდა. თვითონ ზედმიწევნით პატიოსანი, წესიერი ადამიანი იყო, საქმისთვის თავგადაკლული და უნდოდა, მეცნიერი გამოვსულიყავი. ძლივს დავიყოლიეთ და ტანვარჯიშზე გამიშვა. მაგრამ, როგორც ვთქვი, ძალიან მომთხოვნი იყო. სიტყვას (რომ მისცემდი, აუცილებლად უნდა შეგესრულებინა. ერთხელაც ვარჯიშზე მივდიოდი და მკითხა, რომელ საათზე დაბრუნდები შინო. 9-ზე მოვალ-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ერთი საათი დამაგვიანდა. შენი ფეხი აღარ იქნება სპორტშიო და ტანვარჯიშზე სიარული ამიკრძალა.

ეს ამბავი უბნის ბიჭებს შევჩივლე და გოგი გოგელიამ, შემდგომ ცნობილმა ქართველმა მოფარიკავემ, მითხრა — მოდი, ფარიკაობაზე იარეო. მივედი ვაჟთა მე-7 სკოლაში. ჩემი პირველი მწვრთნელი ანატოლი ფიოდოროვი იყო, წესიერი, კულტურული კაცი. რასაკვირველია, მამას ეს არ უნდა გაეგო, ამიტომ იარაღი და სპორტული სამოსი ბიჭებს მოჰქონდათ ვარჯიშებზე. 5-6 თვეში უკვე თბილისის ნაკრებში მოვხვდი. ტურნირებზე მივდიოდი ხან ქუთაისში, ხან ბათუმში, ხან სოხუმში. მამას კი ვეუბნებოდი, რომ ქუთაისში ვსტუმრობდი ნათესავებთან.

— მამათქვენმა როდის გაიგო, რომ მოფარიკავე იყავით?

— კარგა ხანს არაფერი იცოდა. მეათეკლასელი უკვე საქართველოს ნაკრებში ჩამრიცხეს. ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი ტარდებოდა რიგაში და ჯერ მოსკოვამდე უნდა წავსულიყავით მატარებლით. გასაცილებლად მშობლები გამომყვნენ. ცხადია, მამას ეგონა, რომ ისევ ქუთაისში მივდიოდი და დედაჩემს ჰკითხა, რაღა მოსკოვის მატარებლით მიდის, ქუთაისზე ვერ აუღეთ ბილეთი. ქუთაისზე ბილეთი არ იყო — იცრუა დედაჩემმა.

რიგაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი ჭაბუკებში და ეს ტიტული მომდევნო წელსაც მოვიპოვე. მამაჩემი „პრავდასა“ და „კომუნისტს“ კითხულობდა, ოღონდ პირველ სამ გვერდს, მეოთხეს, სადაც სპორტი იყო, არც შეხედავდა ხოლმე ჰოდა, მეც მშვიდად ვიყავი.

მაგრამ შინ შევედი თუ არა, მამა ცივად შემხვდა. სპორტსმენი ხარო, მკითხა. ცივი უარი ვუპასუხე. დედაც არ იყო, რომ გამომქომაგებოდა. ახლავე განახებო — მითხრა და მივხვდი, გაზეთის მოსატანად წავიდა. რა გაეწყობოდა, ვარ-მეთქი — ვუთხარი. თურმე გაზეთებში უკვე დაეწერათ ჩემი გაჩემპიონების ამბავი. მამას, მართალია, არაფერი წაეკითხა, მაგრამ თანამშრომლებს ეკითხათ, შენი ბიჭი ხომ არაა, ჩემპიონი რომ გახდაო. მამა დიდხანს უარობდა, მაგრამ მერე დაეჭვდა და თვითონაც ნახა გაზეთი. ასე გაირკვა სიმართლე.

— მერე გაგიმეორეთ ფარიკაობაზე?

— რაღას იზამდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვიყავი.

რევაზ ცირეკიძე ელვისებურად შეიჭრა საბჭოთა საფარიკაო ელიტაში. 1955 წელს საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა. 1956 წლის აპრილში კი ბელგიელი დელანუას შემდეგ მეორე იყო „ეროვნებათა თასზე“, რომელიც უმაღლესი რანგის საფარიკაო ტურნირი გახლდათ. ეს საბჭოთა მოფარიკაველებისთვის პირველი დიდი წარმატება იყო. მელბურნის ოლიმპიადისთვის ფავორიტებშიც ირიცხებოდა, მაგრამ იქ იტალიელი პაენი გახდა ჩემპიონი. ცირეკიძე ფინალში ვერ მოხვდა.

— ამის მიზეზი ის იყო, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე ტაშკენტში დავშავდი. წელი საშინლად ამტკივდა, ისე საშინლად, რომ ჩემი ოლიმპიადაზე მონაწილეობაც კი სათუო გახდა. მაგრამ მიმკურნალა ზოია მირონოვამ, არაჩვეულებრივმა ექიმმა და შესანიშნავმა პიროვნებამ, რომელიც მერე მელბურნშიც წამოვიყვანა. მართალია, შეეჯიბრზე გავედი, მაგრამ მელბურნში ის შედეგი ვერ ვაჩვენე, რასაც ველოდი.

— მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდით...

— ესეც თავგადასავლებით აღსავსე ისტორიაა. პოდოლსკში გავდიოდით შეკრებას, ჩემპიონატი კი ლუგანსკში ტარდებოდა. მე და ჩემი მეგობარი ნაკრებიდან იუზას უდრასი მოსკოვში ვიყავით. მატარებლის გასვლამდე რამდენიმე საათი რჩებოდა. უდრასმა შემომთავაზა, რესტორანში შევიდეთ და წავიხემსოთო. წავედით, იქ სხვა ქართველი მოფარიკაველებიც შეგვხვდნენ. მოკლედ, შევყვეთ და მატარებელზე დაგვაგვიანდა. ეს კი რა პრობლემებთანაც იყო დაკავშირებული, კარგად მოგეხსენებათ. ტაქსი დავიქირავეთ და იმით ვაპირებდით ლუგანსკში ჩასვლას. მაგრამ მძღოლი არ გვენდო, ოთხი წრე მოგვატარა მოსკოვში და მერე ავტოსადგურზე მივვიყვანა, აქედან გადის ავტობუსები ხარკოვშიო. ჩავედით ხარკოვში, იქიდან ლუგანსკში და ნაკრების ხელმძღვანელობის გულისწყრომაც დავიმსახურეთ. მაშინ გუნდურ ბრძოლებში სპორტსაზოგადოებები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მე „ბურევესტნიკის“ წევრი ვიყავი. ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა, პონომარიოვმა, რომელსაც არც მანამდე ვეხატებოდი გულზე, მითხრა, თუ პირველ ადგილზე არ გასულხარ პირადშიც და გუნდურშიც, შენი ფეხი აღარ იქნება ნაკრებშიო. „დინამოს“ მწვრთნელი მაშინ ჩემი მეგობარი ლევ საიჩუკი იყო, რომელთან ერთადაც ადრე ნაკრებში გამოვდიოდი. საიჩუკმა მითხრა, მე გავარჯიშებო და გაძლიერებულ ვარჯიშს შევუდექი. ეს რომ გაეგოთ, საიჩუკს მოხსნიდნენ. ფაქტობრივად, იგი თავის მეტოქეს ავარჯიშებდა. ფინალში გავედით და „დინამოს“ შევხვდით. 8:7-ზე ბოლო ბრძოლა მე მომანდეს. მოვიგე და „ბურევესტნიკი“ ჩემპიონი გახდა. მაგრამ ეს პირობის ნახევარი იყო. პირადშიც ჩერნუშევიჩი დავამარცხე ფინალში და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოვიპოვე. პონომარიოვმა — ტი ნასტოიაში მუშრნაო — მითხრა. თბილისში ხარ-ზეიმით დამხვდნენ. იყო გაუთავებელი პურმარილები.

რევაზ ცირეკიძე პირველი ქართველი მოფარიკავე იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. 23 წლის სპორტსმენის კვალობაზე ძალიან დიდი გზა ელოდა წინ, მაგრამ... მივადექით იმ ამბებსაც, რამაც იგი აიძულა, სპორტისთვის თავი დაენებებინა.

— 1957 წელს მოსკოვში ახალგაზრდული ფესტივალი ტარდებოდა. იქ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს დავუახლოვდი. სწორედ იმ წლის ბოლოს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატი იყო დაგეგმილი.

სანამ გავემგზავრებოდით, მეგობრები ერთად შევიკრიბეთ. გვარს არ გეტყვით და, ერთმა ჩემმა ძმაკაცმა, რომლის მამაც ომიდან აღარ დაბრუნებულა, მთხოვა — რეზო, იქ ქართველებში მოხვდები, იქნებ მამაჩემის ასავალ-დასავალი იცოდეს ვინმემო. პარიზში ჩვენ, საბჭოთა სპორტსმენებს, შედარებით თავისუფალი გადაადგილების საშუალება მოგვცეს. უნგრეთის ცნობილი ამბების შემდეგ ქვეყანას შელახული იმიჯის აღდგენა სურდა. საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველებმა დიდი სიხარულით მიმიღეს. ნაკრებში კიდევ ერთი თბილისელი, იური ოსიპოვი იყო. ფინალურ ჯგუფში გავედი. მართალია, პრიზიორი ვერ გავხდი, მაგრამ ჩემპიონობის ბედი კი გადავწყიტე — იტალიელი მოფარიკავე დავამარცხე და პირველობისკენ გზა ფრანგების ფავორიტ მუიალს გავუკაფე. მუიალი ჩემპიონი გახდა, მე კი ფრანგების პატივისცემა დავიმსახურე. „ფრანგი“ ქართველებიც ხან ერთ ოჯახში მპატიჟებდნენ, ხან მეორეში. ერთ-ერთ დიდ სუფრასთან გამახსენდა ჩემი მეგობრის დანაბარები და ვიკითხე, ხომ არ იცით, ასეთი და ასეთი კაცი ცოცხალია თუ არა-მეთქი. სუფრის წევრები შეიშმუშნენ, ერთმანეთს გადახედეს და არ ვიცითო — მიპასუხეს. ამით ამოიწურა ეს ამბავი — მაშინ ასე მეგონა.

საქართველოში დავბრუნდი. რამდენიმე ხანში ბრიუსელში უძლიერესთა ტურნირი იწყებოდა. მე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი, სხვა 7 მოფარიკავესთან ერთად პერსონალურად მიმიწვიეს. ბოლო მომენტში აღმოვაჩინე, რომ წამსვლელთა სიაში არ ვიყავი. გავოგნდი, მაგრამ ჩემმა მეგობარმა საიჩუკმა მითხრა, ხმა არ ამოიღო, ერთად ვივარჯიშოთ და დავამტკიცოთ, რომ შენი ადგილი ნაკრებშიაო.

მომდევნო წელს მსოფლიოს პირველობა უკვე ამერიკაში ტარდებოდა, ფილადელფიაში. მე ისევ ნაკრების პირველ ნომრად ვითვლებოდი. ჰოდა, მოსკოვიდან დედაჩემს დეპეშაც გამოვუგზავნე, ამერიკაში მივფრინავ-მეთქი. ტრაპზე რომ ავდიოდი, ორი კაცი მომიახლოვდა, ჩვენთან წამოდიო. ხომ არ გაგიჟდით, გუნდს ჩამოვრჩები-მეთქი. შემდეგი თვითმფრინავით გაფრინდებიო. გავფრინდი კი არა, ისევ მოშხსნეს გუნდიდან. თბილისში დავბრუნდი, გარეთ გასვლისა მრცხვენოდა. ხალხს ამერიკაში ვგონივარ, მე კი თბილისში ვარ. გადავწყვიტე, კარიერა დამესრულებინა და 24 წლისამ სპორტს თავი დავანებე.

— შემდეგ რა მოხდა?

— ცოლი შევირთე. ჩემი სპეციალობით, იურისტი ვარ, დავიწყე მუშაობა. 1962 წელს ორმა კაცმა მომაკითხა უშიშროების სამსახურიდან. მკითხეს, 5 წლის წინ პარიზში ამა და ამ კაცის გვარი რატომ ახსენეო. მეგობრის მამა-მეთქი, ვუამბე ყველაფერი, როგორც იყო. აღარ ახსენოო — მითხრეს.

— სიმართლე როდის შეიტყვეთ?

— 1982 წელს მილიციის უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი. უმაღლეს სასამართლოში მივედი ჩემს საქმეზე. იმ ჩემი მეგობრის დედა დავინახე და მივესალმე. უცებ სინათლემ გაიელვა და მივხვდი, რომ სურათი გადამიღეს. მეორე დღეს სამსახურში, ჩემს კაბინეტში მეწვიენენ უშიშროებიდან. მე ვუთხარი, ვიცი, რომ გუშინ სურათი გადამიღეთ. საერთოდ, თუ არ გინდათ, გამოძალვაზე დავაჭერინო თქვენი თავი, გამაგებინეთ, რა გინდათ, რაშია საქმე-მეთქი — და ამ[illegible] ხნის [illegible] როგორც [illegible] — [illegible] ჩემ[illegible] მეგობრის მამა, [illegible] [illegible] [illegible]

ისარი, თოვლი და ომი

მოდით, ახლა გაჭირვებულებს გაუმარჯოს

ბელგიაში გამართული კლასიკური რბოლა „ვალონიის ისარი“ ჩინებულ სტილში მოიგო იტალიელმა მიკელე ბარტოლიმ. ეს შეჯიბრი მსოფლიოს თასის ეტაპი არ არის, მაგრამ მაინც პრესტიჟულია და სპორტსმენთა დიდ ინტერესს იწვევს. წლეულსაც ბევრმა ცნობილმა მრბოლმა მოიყარა თავი. კვირას, ბელგიაში, მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპი ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი გაიმართება და მათაც თითქოს მცირე მომზადება გაიარეს.

როგორც გითხარით, გამარჯვება მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფმა, „მაპეის“ წევრმა, ბარტოლიმ მოიპოვა, რომელმაც გამძლეობისა და ტაქტიკის მშვენივრად შეზავების ხარჯზე მოიგო. 28 წლის იტალიელს ადამიანების გარდა ბუნებაც ეწინააღმდეგებოდა — ბელგიაში ამ დროისთვის უჩვეულოდ ციოდა და თანაც რბოლის უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში ბარაქიანადაც თოვდა.

„ეს გამარჯვება ჩემი კარიერის მანძილზე ყველაზე სანახაობრივი იყო“ — თქვა მიკელემ, რომელიც 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ გაპროფესიონალდა და ორი უკანასკნელი მსოფლიო თასიც მოიგო.

„მაპეის“ ლიდერმა იერიშზე გადასვლა ფინიშამდე 80 კმ-ით ადრე გადაწყვიტა. ამ დროისთვის სპორტსმენები საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და ციდან უკვე პირველი ფიფქებიც ცვიოდა. დასაძლევი კი კიდევ ხუთი აღმართი იყო.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბარტოლის მთავარი ჯგუფისგან მოსაწყვეტად ორი ცდა დასჭირდა. „ჩემს თანაგუნდელ ტობიას სტეინჰაუზერთან ერთად პელოტონის აჩქარება გადავწყვიტე და მაშინვე მივხვდი, რომ მეტოქეებმა უდიდესი გაჭირვებით შეძლეს ჩვენთვის მხარის აბმა. მათგან განსხვავებით, თავს მხნედ ვგრძნობდი და მეორე შეტევაც იმწამსვე წამოვიწყე“ — განუცხადა ჟურნალისტებს მსოფლიოს უძლიერესმა ველომრბოლმა.

მხოლოდ შვეიცარიელმა ოსკარ კამენზინდმა (ლამპრე) და ჰოლანდიელმა მარტენ დენ ბაკერმა (რაბობანკი) გამონახეს ძალა და იტალიელს გამოედევნენ. სამეულმა ერთად მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი გაიარა. მერე კამენზინდს მაისურის გამოცვლა დასჭირდა და კომპანიონებმაც უმალ უალატეს. მათ სვლა აჩქარეს და შვეიცარიელი პელოტონის ანაბარად დატოვეს.

კარგი „თანამშრომლობის“ წყალობით, ლიდერთა დუეტმა თანდათანობით სხვებთან სხვაობა გაზარდა და ფინიშამდე ოციოდ კილომეტრით ადრე უკვე 3 წუთზე მეტს იგებდა. აქ დენ ბაკერის თანამემამულემ და „რაბობანკის“ კაპიტანმა მიკაელ ბოგერდმა ბელგიელი მარიო აერტსი (ლოტო) აიყოლია და წინწასულების დაწევა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ბოლო აღმართზე ბარტოლი დენ ბაკერისაც გაექცა და ფინიშის ხაზი მასზე 14 წამით ადრე გადაკვეთა. მესამე ადგილზე გასულმა აერტსმა კი მასთან სამ წუთზე მეტი წააგო.

რბოლის სხვა ფავორიტებმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინეს. „ვალონის ისრის“ ორგზის გამარჯვებულმა, ფრანგმა ლორან ჟალაბერმა, რომელმაც „კატალონიის კვირეული“ და „ბასკეთის ტური“ მოიგო, საერთოდ შუა გზაზე მიატოვა რბოლა

დაბოლოს. ეტყობა, იტალიელ ველომრბოლებს მეტისმეტად აწუხებთ მეზობელ იუგოსლავიაში მიმდინარე ომი. მიკელე ბარტოლიმ, ისევე როგორც კვირას პარიზი-რუბეში გამარჯვების შემდეგ მისმა თანამემამულე ანდრეა ტაფიმ, შეჯიბრის შემდეგ მასმედიასთან საუბრისას ის ხალხიც გაიხსენა, ვინც „კოსოვოშია და იტანჯება“ და ისიც დასძინა — იმედია ამ ომს ბოლო მალე მოეღებაო.

გაიოზ თალაკვაძე



REUTERS/ვასილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმართ-აღმართ მარტენ დენ ბაკერი (მარჯვნივ) უფრო ნელი იყო, ვიდრე გამარჯვებული მიკელე ბარტოლი

„ვალონიის ისარი“ 200 კმ

1. მიკელე ბარტოლი (იტალია, „მაპეი“) — 4 სთ, 52 წთ და 46 წმ
2. მარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) — ჩამორჩა 14 წამით
3. მარიო აერტსი (ბელგია, „ლოტო“) — ჩამორჩა 3 წუთით და 6 წამით
4. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) — ჩამორჩა 3 წუთით და 13 წამით
5. მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია) — ჩამორჩა 3 წუთით და 34 წამით
6. უდო ბოლცი (გერმანია) — ჩამორჩა 3 წუთით და 40 წამით
7. მარკო ველო (იტალია) — ჩამორჩა 3 წუთით და 42 წამით
8. კოოს მოერენჰუტი (ჰოლანდია) — ჩამორჩა 3 წუთით და 45 წამით
9. იენს ვოიგტი (გერმანია) — ჩამორჩა 3 წუთით და 48 წამით
10. პაოლო სავოლდელი (იტალია) — ჩამორჩა 3 წუთით და 52 წამით

კატისა და გატეხილი ყბის დღე

14 აპრილი

დეტროიტი — ნეშვილი 4:2

0:1 3:1 1:0

0:1 ბრიუნეტი 16'01 (11), 1:1 დანდენო 27'50 (4), 2:1 ფიოდოროვი 29'41 (26), 2:2 უოკერი 32'34 (15), 3:2 ჯილკრისტი 35'49 (1), 4:2 კოზლოვი 42'50 (29)

ბრენტ ჯილკრისტის გამოჯანმრთელებამ (სხვადასხვა ტრავმის გამო ფორვარდმა მანამდე მხოლოდ 3 მატჩი ჩაატარა) კიდევ უფრო გაამწვავა კონკურენცია სკოტი ბოუმენის გუნდის წინა ხაზში. ძირითადი შემადგენლობის 12 ადგილზე ამჟამად 15 თავდამსხმელი აცხადებს პრეტენზიას.

ტორონტო — აილენდერსი 3:2

0:1 1:1 1:0 1:0

0:1 ლინდგრენი 6'04 (9), 1:1 ვოლკი 26'58 (8), 1:2 ჩერკავსკი 38'28 (20), 2:2 სუნდინი 56'48 (31), 3:2 ბერარდი 60'42 (9)

მართალია, ტორონტომ მოიგო (ეს გუნდის 45-ე მოგება და ახალი საკლუბო რეკორდი გახლავთ) და გადაწყვეტი შაიბაც ყოფილმა აილენდერსელმა ბრაიან ბერარდმა შეაგდო, მაგრამ ყველაზე მეტი ოვაცია და მატჩის გმირად აღიარება სტუმართა მეკარე ფელიქს პოტვინს ერგო. 9 იანვარს სწორედ ბერარდში გაცვლილმა „კატამ“ (პოტვინის მეტსახელია) კარგა ხანს იავადმყოფა და ახლაღა, ბოლო 2 თამაშში გამოჩნდა, მაგრამ ორჯერვე შეუდარებელი იყო: ორშაბათს მან ნიუჯერსელთა 55 (!) დარტყმა მოიგერია, ამჯერად კი, ფაქტობრივად, მარტომ (35 მოგერიება) შეუნარჩუნა მატჩს ინტრიგა ბოლო წუთებამდე, რის გამოც ოდესღაც ტორონტოელი ქომაგების კერპმა მაყურებლის აღტაცება დაიმსახურა.

კაროლინა — ვაშინგტონი 3:0

1:0 0:0 2:0

1:0 ფრენსისი 12'48 (20), 2:0 ფრენსისი 51'32 (21), 3:0 რობერტსი 52'10 (14)

კაროლინას ლიდერები მომდევნო პლეი ოფს სრულ მზადყოფნაში ხვდებიან. მეკარე არტურ ირბემ წლეულს მე-6 შათაუტი მიითვალა (პირადი რეკორდი), ხოლო რონ ფრენსისმა თავის 18-წლიან კარიერაში (გამონაკლისი მხოლოდ 1995 წლის შემოკლებული სეზონია) მე-17-ედ (!) მიაღწია 20-შაიბიან ზღვარს.

ვანკუვერი — კალგარი 4:5

0:3 3:1 1:1

0:1 იგინლა 16'12 (26), 0:2 იგინლა 18'44 (27), 0:3 სტილმანი 19'19 (25), 1:3 ბერონი 25'08 (2), 1:4 ბურე 31'01 (25), 2:4 სკაჩარდი 36'05 (13), 3:4 ჰენდრიკსონი 39'49 (4), 4:4 მოგილნი 42'33 (14), 4:5 სტილმანი 59'56 (26).

REUTERS/ნიდან

მონრეალელმა ტრენტ მაკლირიმ ფლორიდელი ტერი კარკნერი ბორტსიქით მიაბრძანა

კალგარიმ ძალიან გვიან შეწყვიტა 8-მატჩიანი უხეირო სერია (+0=1-7) და ზედიზედ მესამედ დარჩა პლეი ოფის მიღმა, ვანკუვერს კი შარშანდელზე გაცილებით უარესი სეზონისგან სანუგეშოდ მარკ მესიეს მიღწევალა შერჩა. „რკინის მაიკმა“ 1050-ე პასით გაუსწრო ლეგენდარულ გორდი ჰოუს და ნჰლ-ის მეპასეთა სიაში მეოთხე ადგილზე აღზევდა.

ფლორიდა — მონრეალი 3:2

0:0 0:1 2:1 1:0

0:1 სტივენსონი 38'19 (10), 1:1 მელანბი 40'34 (18), 1:2 სავარეი 44'55 (15), 2:2 პერიში 56'43 (24), 3:2 ნილსონი 64'05 (1)

ათი წამყვანი ჰოკეისტის არყოფნაში მასპინძლებს ახალბედა შვედმა მარკუს ნილსონმა (1+1) მოაგებინა, რომელმაც ულამაზესი გოლით ნჰლ-ში პირადი ანგარიში გახსნა.

ანაჰაიმი — სენტ ლუისი 1:3

0:2 0:0 1:1

0:1 პიკარი 16'12 (11), 0:2 კურტნოლი 16'37 (4), 1:2 კარია 45'04 (38), 1:3 იანგი 56'50 (21)

ამ შედეგმა ორივე გუნდი გაახარა. გამარჯვებულმა სენტ ლუისმა კონფერენციაში მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა და თუ ამ პოზიციას შეინარჩუნებს, ყველაზე უხერხულ მეტოქესთან — დეტროიტთან შეჯახებას თავს აარიდებს. ანაჰაიმს კი თურმე პირიქით, ფინიქსთან პაექრობას თასის მფლობელთან შეხვედრა ურჩევნია.

დალასი — ფინიქსი 4:2

2:0 1:0 1:2

1:0 მოდანო 17'40 (34), 2:0 ნუინდაიკი 18'49 (26), 3:0 ზუბოვი 34'51 (10), 3:1 დოუნი 54'34 (5), 3:2 დრეიკი 57'19 (9), 4:2 ნუინდაიკი 59'33 (27)

შურისძიებაც ასეთი უნდა: მე-6 წუთზე დალასელთა კაპიტანმა დერიან ჰეჩერმა ჯერემი რენიკი ისე მიაჭყლიტა ბორტზე, რომ თავ-პირი დაუსისხლიანა. ექიმებმა კიდევ უფრო დაამწუხრეს ფინიქსის გამთამაშებელი — ყბის გატეხვა სახუმარო საქმე არ არის, შეიძლება პლეი ოფი გამოტოვოთო. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების წინა შეხვედრაში სწორედ რენიკმა გაიმეტა „ვარსკვლავთა“ ლიდერი მაიკ მოდანო და ახლა ზღო კიდეც უხეშობისთვის, მოდანომ კი ტრავმის შემდეგ ჩატარებულ პირველივე მატჩში 2(1+1) ქულა მიითვალა.

ბუფალო — ნიუ ჯერსი 1:2

0:1 1:0 0:1

0:1 ანდრეიჩუკი 13'55 (15), 1:1 შატანი 39'46 (38), 1:2 ნიდერმაიერი (42'23 (11)

„ეშმაკებმა“ 27-ე საგარეო გამარჯვებით ლიგის რეკორდი გაიმეორეს, ხოლო მეკარე მარტინ ბროდომ ნჰლ-ში მე-200 მოგება აღნიშნა. ზემოხსენებული რეკორდი სახელოვან მონრეალს ეკუთვნოდა, რომელმაც ეს ორჯერ — 1976-77 და 1977-78 წლების სეზონში მოახერხა და ორჯერვე თასს დაეუფლა.

აღმოსავლეთ კონფერენცია							
ნიუ ჯერსი	80	45	11	24	241:194	101
ოტავა	80	44	13	23	236:176	101
კაროლინა	80	34	16	30	207:199	84
ტორონტო	81	45	7	29	266:228	97
ფილადელფია	80	36	19	25	226:192	91
ბუფალო	80	36	17	27	203:173	89
პიტსბურგი	79	37	14	28	236:213	88
ბოსტონი	79	37	13	29	207:175	87
რენჯერსი	80	33	10	37	214:233	76
ფლორიდა	81	29	18	34	204:226	76
მონრეალი	81	31	11	39	181:207	73
ვაშინგტონი	81	31	6	44	200:215	68
აილენდერსი	81	23	10	48	187:242	56
ტამპა	80	19	8	53	175:284	46

დასავლეთ კონფერენცია						
დალასი	80	51	12	17	235:164	114
კოლორადო	79	43	10	26	235:194	96
დეტროიტი	81	43	7	31	243:199	93
ფინიქსი	80	38	12	30	199:191	88
სენტ ლუისი	80	35	13	32	228:203	83
ანაჰაიმი	80	35	12	33	209:199	82
სან ხოსე	80	31	17	32	194:186	79
ედმონტონი	80	31	12	37	222:223	74
კალგარი	80	29	12	39	204:230	70
ჩიკაგო	80	27	12	41	195:244	66
ლოს ანჯელესი	79	30	5	44	181:216	65
ნეშვილი	80	28	7	45	187:253	63
ვანკუვერი	82	23	12	47	192:258	58

ცხრილებში გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები.

„დიადი“ ქალივით: არც ჰო, არც არა

მწვრთნელები, პარტნიორები, ქომაგები, თვით მეულლეც კი სთხოვენ მას, ერთი სეზონით მაინც გაგრძელოს კარიერა. ყველა ემუდარება, მაგრამ უეინ გრეცკი საბოლოო სიტყვის თქმას არ ჩქარობს. „კიდევ ერთხელ უნდა ავწონ-დაწონო ყველაფერი და სწორი გადაწყვეტილება მივიღო“ — განუცხადა მან ჟურნალისტებს რეინჯერსის მორიგ ვარჯიშზე.

ასე რომ, ჩემპიონატის ბოლო დღემდე, 18 აპრილამდე (სწორედ მაშინ გვაუწყებს უეინი თავის გადაწყვეტილებას), ეს მითქმა-მოთქმის მთავარი თემა იქნება და ყველა სხვა ამბავს დაჩრდილავს.

უნდა ითქვას, რომ თვის „დიადიც“ ასხამს ცეცხლზე ნავთს და ძალიან იდუმალებით მოცული ფრაზებით საუბრობს. მაგალითად: „ამჟამად ერთ აზრთან უფრო ახლოს ვარ, ვიდრე მეორესთან“, ან „ახლაც ძალიან მსიამოვნებს ჰოკეის თამაში. ჩემი მეულლე ჯანეტიც, ვისი აზრიც ჩემთვის ძვირფასია, მირჩევს, კიდევ ერთი სეზონით გავიგრძელო კარიერა, მაგრამ, მეორე მხრივ, კისრის ტრავმის შემდეგ ფიზიკურად ვერ ვარ სასურველ ფორმაში და ეს ყველაზე მეტად მაფიქრებს“...

ერთი რამ ცხადია, 18 აპრილს ჰოკეის სამყაროს ჯურადღება ნიუ იორკისკენ იქნება მიპყრობილი, სადაც რეინჯერსი სეზონის ბოლო მატჩს ატარებს პიტსბურგთან. რა გასაკვირია, ეს იქნებ „დიადის“ ბოლო გამოსვლაც იყოს. ამ დღეს ყველა მისი ახლობელი შეიკრიბება, ყველა, გარდა 6 წლის ვაჟისა, რომელიც ზუსტად იმ დროს მისთვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვან, საბეისბოლო მატჩს ატარებს.

ჩემპიონატის ბოლოს ფილადელფიას ბედმა უმტყუნა. „მფრინავების“ ქომაგები ჯერაც ერიკ ლინდროსის დაკარგვაზე დარდობენ, ახლა კი საყვარელ გუნდს კიდევ ერთი ლიდერი გამოაკლდა — ცენტრფორვარდი მარკ რეკი პლეი ოფის დაწყებამდე ველარ ითამაშებს. მან სამშაბათს, ბუფალოსთან შეხვედრაში ტვინის შერყევა მიიღო. ფილადელფიაში გადასვლამდე რეკის თითქოს ღმერთი იცავდა ტრავმებისგან. ექსმონრეალელმა ზედიზედ 508 თამაში ჩაატარა, „მფრინავთა“ რიგებში კი სულ ერთი თვის გადასულია და უკვე მეორედ დაშავდა. მართალია, ფორვარდი ამჯერად იოლად გადარჩა (პირველი ტრავმა მან 22 მარტს ტორონტოში მიიღო), მაგრამ კლუბის ექიმებმა მას დასვენება ურჩიეს.

სამგელ ღარიბიანი

სარგებელის არქივიდან

მაგ თვალების ეშხითა...

ამ უქმეებზე სეპანგის (მალაიზია) ახალი, 4,5 კმ-იანი ტრასა რამდენსამე მოტორბოლას უმასპინძლებს... 500 კბ/სმ კლასში მსოფლიოს ჩემპიონი, ავსტრალიელი მაიკლ დუენი უკვე რახანია, მალაიზიაში იმყოფება და გარდა საკუთრივ თავისი პროფესიული საქმიანობისა, სხვა რამ თავშესაქცევი ამბებითაც ერთობა. აი, გუშინ ის, მაგალითად, მალაელ მოცეკვავეთა მიერ შიგ ტრასის საკუჭნაოში იმპროვიზებულ წარმოდგენაშიც გაერია და ტრადიციულ მალაურ ჩაცმულობისა თუ სხვა რამერუმის რიგიანი ცოდნაც გამოამჟღავნა.

REUTERS ბირმინგემიდან

ერთვნული ბიგლიოთეკა

საფრანგეთი

მარსელი 4:0 ნანსი

1:0 და სილვა (30), 2:0 გურვენეკი (57), 3:0 რავანელი (62), 4:0 მორისი (80)

„მანჩესტერისა“ და „არსენალის“ სათასო მატჩზე მე-რ გვერდზე წერია, აქ კი მატჩისშემდგომი ჩხუბის სურათია აღბეჭდილი. ეს ამბავიც მოედანზე მოხდა...

არ შეგცივდეთ, ბიჭებო!

ლონდონში საკვირაოდღეო მარათონისთვის ჩასულ ბრაზილიელ და სამხრეთაფრიკელ შავ-შავ ბიჭებს, რონალდო და კოშტასა (შუაში) და ჯონია თუგვანეს (მარჯვნივ) ნისლიანი ალბიონი ჭინჭყლი ამინდითა და ჭარბი ნალექიანობით შეეგება... ფოტოზე ბიჭები ტაუერისკენ, საპრესკონფერენციოდ მიძუნძულებენ, ხოლო ერთი იქაური ჯენტლმენ-ბოსამსახურე მათ ვეება ქოლგით ეშველება, ემანდ, არ გაცივდეთ და ზეგინდელ რბოლას ეშხი და ლაზათი არ მოაკლდესო.

REUTERS ლონდონიდან

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

იაპონია 1:1 პორტუგალია
(0:0 დ.დ., 5:4 პენ.)
1:0 ენდო (49), 1:1 კარდოსო (81)

ესპანეთი 3:2 აშშ
1:0 კუნაგო (16), 2:0 ერნანდესი (20), 3:0 კუნაგო (32), 3:1, 3:2 ტველმანი (49, 90)

მალი 4:4 (5:4 დ.დ) კამერუნი
1:0 ნდიაიე (9), 1:1 კომოლი (10), 1:2 კიოიო (26), 1:3 მბამი (27), 2:3 ბაგაიოკო (67), 2:4 კომოლი (74), 3:4 კამარა (82), 4:4, 5:4 დისა (89, 105)

მექსიკა 4:1 არგენტინა
0:1 გალეტი (40), 1:1 ოსორნო (52), 2:1 ე. როდრიგესი (55), 3:1 ხ. პ. როდრიგესი (67), 4:1 გონსალესი (83)



REUTERS დუბაიდან

უხერხოდ, მხოლოდ ღონითა

დუბაიში დედამიწის „მძლეთამძლე და მხნეთამხნე მამაკაცის“ ვინაობა გაირკვა. ამ წოდების მოსაპოვებლად იქ თავშეყრილმა რვა, სხვადასხვა წარმომავლობის ზორბა ბიძამ მრავალი უცნაური რამ აკეთა — იყო ეს 310 კგ წონის ოქროს ნაკეთობებით სავსე სეიფების ზიდვა თუ 177,5 კგ-იანი მორების თრევა... ფოტოებზე ორ უძლიერესს ხედავთ, ოღონდ ისე, რომ მორის მთრეველი, დანიელი ფლემინ რასმუსენი (ზედა ფოტოზე) უფრო ძლიერი გამოდგა, ოქროთი მჭითველი ფინელი რიკუ კირიკი — მასზე ოდნავ სუსტი

REUTERS დუბაიდან



სარგებელის არქივიდან

ხუთთუმნიანი პოლიციელი ქალი

„ნიუ იორკ იანკის“ ვარსკვლავ-ბეისბოლისტი დერილ სტროუბერი გუშინ ტამპის ქუჩებში სეირნობდა, როცა ერთ ქერათმიან ანგელოზს გადაეყარა. რამდენადაც ანგელოზი საკმაოდ შილიფად შემოსილიყო და სასეირნოდაც არცთუ ყველაზე პრესტიჟული უბანი შეერჩია, დერილმა ხელი უმალ ჯიბისკენ წაიღო და იქიდან ხუთი მწვანე თუმნიანი ამოაცოცა... და თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო? მაშინ ალბათ არც ამ ამბის მოყოლა იქნებოდა საჭირო... სინამდვილეში კი მაცდურმა გოგუცუნამ დერილს მისი თავაზიანი წინადადების საპასუხოდ ცხვირწინ პოლიციელის „ქსივა“ ააფარა, ხელებზე ხუნდები დაადო და იქვე, ორ ნაბიჯში მდებარე რაიგანყოფილებაშიც წააბრძანა. იქ კი ბიჭს — ჩვენთვის კაცურად გაუგებარი „სექსუალური დანაშაულის“ გარდა — ჯიბეში 3 გრამი კოკაინიც უპოვეს და საქმეც, რომ იტყვიან, საბოლოოდ შეიკერა. ასე რომ, შემთხვევითი კავშირებისაგან სჯობს, ალბათ, თავი შეიკავოთ და თქვენი ფინანსური შესაძლებლობანი მხოლოდ მეგობრების მიერ ათასგზის დაცდილი სატელეფონო ნომრებისთვის გადაინახოთ.

სარგებელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29